პროლეტარიელო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მეზობლიანი დელეგატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО И ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

საშაბათი, 29 იანვარი, 1946 წ. № 21 (7494). ფასი 20 კაპ.

ᲓᲦᲔᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲨᲘ:

საბჭოთა მეცნიერების, ტექნიკის, კულტურის დღესასწაული. „პრავდის“ მოწინავე. (1-ლი გვერდი).

ამხ. კ. ნ. ჩარკვიანის სიტყვიდან თბილისის ბერიას რაიონის მშრომელთა წარმომადგენლების წინასაარჩევნო თათბირზე. (1-ლი გვერდი).

ქალაქ თბილისის ბერიას რაიონის მშრომელთა წარმომადგენლების წინასაარჩევნო თათბირი. (მე-2 გვერდი).

საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა საყოველთაო-სახალხო დათვალიერება. (მე-2 გვერდი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები. (მე-3 გვერდი).

ამოგარჩეველთა შეხვედრები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებთან. (მე-3 გვერდი).

ს. ჯიძია — თოჩქების მიერ მიტაცებული ქართველთა მკვიდრი მიწა-წყლის შესახებ. (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ამბები — დეპეშები. (მე-4 გვერდი).

საბჭოთა მეცნიერების, ტექნიკის, კულტურის დღესასწაული

შესანიშნავი მეცნიერული ნაშრომებისა, გამოგონებებისა, საწარმოო მუშაობის გაუმჯობესებული მეთოდების გამოყენებისა და ხელოვნებისა და ლიტერატურის დარგში შესანიშნავი ნაშრომებისათვის სტალინური პრემიების მინიჭება საბჭოთა მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის ტრადიციული ზეიმი გახდა.

უდიდესი აქტიურობით და ღრმა ინტერესით მეხდება ჩვენი ქვეყნის ყველა მოქალაქე საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებას სტალინური პრემიების მიხიჭების შესახებ, რომელიც დღეს ქეყნდება.

პირველად სტალინური პრემიების მინიჭება საომარულო ომის წინ მოხდა. ეს მოწმობს ჩვენს ქვეყანაში კულტურის ძლაგარ ზრდას, მეცნიერული აზროვნების გაფურჩქვნას, უმდიდრეს მხატვრულ შემოქმედებას მშვიდობიანი დროის პირობებში.

მეორე და მესამეჯერ პრემიების მინიჭება მოხდა სამაოცულო ომის დროს— 1942 და 1943 წლებში. ეკრძალულ დამპყრობთა აგაზაკურმა თავდასხვამ ვერ შეაწყვიტა საბჭოთა ადამიანების შემოქმედებითი მუშაობა. პირიქით—გაოკეკეტული ძალით მუშაობდა მეცნიერების, კონსტრუქტორების, ინჟინრების, წარმოების ოსტატორების, პოეტების, მწერლების, მხატვრების, მსახიობების აზროვნება. სამაოცულო ომის მაღალი კეთილშობილური მიზნებით აღფრთოვანებული საბჭოთა ინტელიგენციისა განამტკიცებდა სამშობლოს საბჭოდრო ძლიერებას, დაჩარბებას აწევდა ყველაზე სრულყოფილი იარაღის შექმნას, წინ აწევდა მეცნიერებასა და კულტურას.

მეოთხეჯერ სტალინური პრემიების მინიჭება ხდება ომის შემდეგ, საბჭოთა ხალხის მსოფლიო ისტორიული გამარჯვების შემდეგ. პრემიები ეხიჭებათ ომიანობის დროს ნაშრომებისათვის. ისეთი უძლიერესი მტრის განადგურებაში, როგორიც კი კაცობრიობის ისტორიას ახსოვა, საბჭოთა სამეცნიერო, ტექნიკურ და სამხატვრო ინტელიგენციას თვალსაჩინო და სასატარო როლი ეკუთვნა.

ჩვენი ხალხის წინაშე საბჭოთა ინტელიგენციამ დამსახურება დიდად დაფასა ამხანაგმა სტალინმა. ჩვენი ინტელიგენცია გაბედულად მიდის ნოვატორობის გზით ტექნიკისა და კულტურის დარგში, წარმატებით ანვითარებს თანამედროვე მეცნიერებაა. შემოქმედებითად იყენებს ძველ მიღწევებს წეროელი არმიისათვის საჭირო შეიარაღებია წარმოებაში. საბჭოთა ინტელიგენციამ თავიანთ შემოქმედებით შრომით ფასდაფდებელი განძი შეიტანა მტრის გაგანადგურების საქმეში.

ამიტომ ეს განძი წარმოდგენილია ახალი ლაურეატების სახელებით, მათი შრომების დასახელებით. აღნიშნულია სამეცნიერო და ტექნიკური აზროვნების, ლიტერატურისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგები. აქ არიან — აკადემიკოსები, უდიდესი სამეცნიერო-საკელვევო ინსტიტუტების ხელმძღვანელები, პროფესორები, ახალგაზრდა მეცნიერთა ალმზრდელები, ნიჭიერი ინჟინრები, რომლებმაც ქარხნის ლაბორატორიები მოწინავე მეცნიერებისა და ტექნიკის სალაბორატორიებად ააყენეს, შეასაბამნავი კონსტრუქტორები, რომლებმაც სახელი გაუთქვეს საბჭოთა საბრძოლო ავიაციას, საბჭოთა ტანკმშენებლობას, ოსტატები, მუშები, კოლმეურნეები, რომლებმაც ახალი გზები გაკაფეს წარმოებაში, მწერლები, პოეტები, ხელოვნების მუშაკები, რომლებმაც დიდი ვაჭრები შეატანეს საბჭოთა კულტურის განვითარებაში.

საბჭოთა ხალხის ღირსეული შვილებია ამ ნუსხაში არიან უფროსი თაობის ადამიანებიც უმდიდრესი გამოცდილების მქონენი, რუსული კულტურის კეთილშობილური ტრადიციების მატარებელნი, ნიჭიერი საბჭოთა ახალგაზრდობაც. ერთნიც და მეორენიც ახალ გზებს კაფავენ მეცნიერებაში, ტექნიკაში, კულტურაში. ამ ნუსხაში არიან კომუნისტები და უპარტიო საბჭოთა პატრიოტები, რომლებაც მთელი თავიანთი ძალოვნენ სამშობლოს ძლიერების განმტკიცებას მოახმარეს.

სტალინური პრემიები მიენიჭათ საბჭოთა თეორიული მეცნიერების გამოჩენილ წარმომადგენლებს იმ ნაშრომებისათვის, რომელებშიც შეჯამებულია ბუნების მეცნიერული შეცნობის ძირითადი პრობლემები, პრემიები მიენიჭათ პრაქტიკულ მუშაკებსაც ისეთი ნაშრომებისათვის, რომლებშიც უშფოლოდ ამაღლებენ ჩვენი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ძლიერებას. საბჭოთა ქვეყანაში თეორეტიკოსებსა და პრაქტიკოსებს შორის ბარიერი არ არსებობს, ჩვენი მეცნიერება მიდის ცხოვრებისა და დიდი კორიფეებისა—ლენინისა და სტალინის გზით, რომლებიც გვიჩვენებენ შესანიშნავ მაგალითს ღრმისეთეორიული აზროვნების შეხამებისას მისი დასკვნების პრაქტიკულ გამოყენებასთან ხალხის ცხოვრებაში, ხალხის შემოქმედებაში, შრომის ყველა დარგში. საბჭოთა მეცნიერება ვითარდება წარმოებასთან, პრაქტიკასთან მჭიდროდ ურთიერთ მოქმედებით. ამაშია მისი ძალა.

ახალ ლაურეატთა შორის ბევრია სახელოვანი, ჩვენს ქვეყანაში ცნობილი, მის საზღვრებს გადაღმაც ფართოდ ცნობილი ადამიანები. ხოლო თითქმის ყოველი ისეთი ადამიანის უკან დგანან სამეცნიერო, ტექნიკური კოლექტივები, ენციკლოპედიები, ინსტიტუტები, აკადემიები, ლაბორატორიები, საკონსტრუქტორო ბიუროები. სტალინური პრემიის მინიჭება ბევრ შემთხვევაში მეცნიერების, ტექნიკის მეშაკთა კოლექტივების ჯილდოდ არის. ეს სამეცნიერო-საკელვევი შემოქმედებითი ინიციატივის შემდგომი განვითარების წახალისებაა.

ახალ ლაურეატთა გამოქვეყნებული ნუსხა მოწმობს საბჭოთა ქვეყანაში შემოქმედების უმდიდრეს მრავალფეროვნებას, ნოვატორთა — გაბედულ ყველაგანთა სიმოალეს, რომლებითაც ეკოლენ მიდიან ჩვენი ქვეყანა. საშეცნიერო და ტექნიკურ საქმიანობაში ორიგინალობა წარმატების აუცილებელი პირობაა.

ჩვენს წინაშეა საბჭოთა ინტელიგენციის დიდი და ნაყოფიერი მუშაობის მნიშვნელოვანი შეიგებები.

მეცნიერების ნამდვილად თავისუფალი, სრულიად შეუზღუდველი პროგრესისათვის ყოველგვარი პირობები შექმნილია მხოლოდ საბჭოთა კავშირში, გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანაში. ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრებულმა სოციალისტურმა დემოკრატიამ უდიდეს სიმაღლეზე აიყვანა მეცნიერება და კულტურა. მათი აყვავებისათვის ზრუნავს საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა. ამიტომ არის, რომ ჩვენს ქვეყანაში შემოქმედებაში უდიდესი მსმენელებით ირეფნ თავს ხალხის სულ ახალ-ახალი ტალანტები. ბოლშევიკური პარტია, საბჭოთა მთავრობა, ამხანაგი სტალინი სათუთად ზრდიან ამ ტალანტებს, ყოველდღიურად ზრუნავენ მათთვის და დახმარებას უწევენ.

საბჭოთა მეცნიერება და ტექნიკა, ლიტერატურა და ხელოვნება ეფსუხურებიან სოციალისტური მშენებლობის, საბჭოთა კავშირის ხალხთა კულტურის მეშდგომი განვითარების დიდი საქმეს. ლენინ-სტალინის“ პარტია ყოველმხრივ ეხმარება და წარმართავს მეცნიერებისა და ტექნიკის, ლიტერატურისა და ხელოვნების მეშემქედებითს განვითარებას.

შესანიშნავი სამეცნიერო, ტექნიკური და მხატვრული მიღწევები, რომლებსაც ამოაგდო ჩვენი ქვეყანა ფაშისტურ ომიანობაში, ერთ-ერთი ფასეულ პრეროდული დათვალიერება გახდა. ეს საბჭოთა ინტელიგენციის შეუპოვარი გმირული შრომის მაღალი შეფასებაა. ჩვენ ვხედავთ მის მიღწევებს და ვამაყობთ ამ მიღწევებით.

სტალინური პრემიებით აღნიშნულია ნიშნსვეტები ჩვენი ქვეყნის სამეცნიერო და კულტურულ განვითარებაში. მაგრამ ეს პრემიები მარტო შედეგები როდია. ისინი წინ აწევენ ჩვენს შემოქმედებითს აზროვნებას. ისინი მოუწოდებენ საბჭოთა ინტელიგენციას ახალი შრომისაკენ, ახალი განხრული ძიებისაკენ.

დიდია საბჭოთა მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის დამსახურება სამამაცულო ომის დროს. დიდია ის ალიაცენტება, რომელებიც ამჟამად დასახულია მათ წინაშე.

მოგელ ატ ორული ხნის განმავლობაში საბჭოთა მეცნიერებამ ერთ-ერთი პირველი ადგილი დიაკავა მსოფლიო მეცნიერებაში. დიდია საბჭოთა კულტურის წვლილი მსოფლიო ცივილიზაციის საგანძურში. ჩვენ ვიცოდ, რომ მშვიდობიანობის დროს ჩვენი ქვეყანა იქნება მსოფლიოს ხალხთა პროგრესიული განვითარების ოკეანეე დასაყრელი, როგორიც იყო იგი ომიანობის დროს, როცა საბჭოთა ხალხის ძალამ და საბჭოთა სახელმწიფოს ძლევამოსილებამ ფაშისტური მოაკვდინებელი საფრთხისაგან იხსნა კაკაცობრიობა.

საბჭოთა მეცნიერებას, ტექნიკას, ლიტერატურას და ხელოვნებას შემდგომი უსაზღვრო განვითარების ყველა პირობა გააჩნია.

სალამი სტალინური პრემიებს ახალ ლაურეატებს, რომლებმაც თავიანთი ნაშრომებით გაამდიდრეს საბჭოთა მეცნიერება და კულტურა!

„პრავდის“ 27/I მოწინავე.

ᲐᲛᲮ. Კ. Ნ. ᲩᲐᲠᲙᲕᲘᲐᲜᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲓᲐᲜ
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲑᲔᲠᲘᲐᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲗᲐ ᲬᲘᲜᲐᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ამხანაგებო!

ნება მიბოძეთ, უწინარეს ყოვლისა, გულთანადი მადლობა გადავუხადო მუშებს, ინტელიგენციას, კოლმეურნეებს, თბილისის გარნიზონის ნაწილების ოფიცრებსა და მეგზრძოლებს, — წინასაარჩევნო კრებების მონაწილეებს, რომლებმაც წარმომაყენეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად. ამ ამხანაგებმა დიდი პატივი დამიეს და ნდობა გამოიჩინეს ჩემ. უნდა განვაცხადო, რომ, როგორც ბოლშევიკების პარტიის წევრს, ჩემი კანდიდატურის წამოყენება მიმაჩნია შრომელთა ჩვენი პარტიისადმი ნაყოვარულობა და ნდობის მრავალთაგან ერთ-ერთი გამოვლინებად.

ბოლშევიკური პარტია უდიდესი შეურყეველი ავტორიტეტით სარგებლობს საბჭოთა კავშირის შრომელთა შორის. და ეს გასაგებია. ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენი სამშობლოს ხალხებმა მიაღწიეს კაპიტალისტური ულლისაგან გახთავისუფფლებას და ააგეს მსოფლიოში ერთადერთი სოციალისტური სახელმწიფო, სადაც არ არის ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაცია, არ არიან მჩაგვრელები და ჩაგრულნი.

ჩვენი პარტია გახდა ის მაორგანიზებელი ძალა, რომელმაც უზრუნველჰყო მთელი ხალხის მობილიზაცია სისხლისმსმელი მტრის გასამკლავებლად. ბოლშევიკების პარტიამ განვლო ომში კვლავ და კვლავ დაამტკიცა, რომ იგი არის საბჭოთა ქვეყნის ხალხთა მსაგებლ მოწინავე რაზმი, ხელმძღვანელი, წინამძღოლი როგორც მშვიდობიან, ისე ომიანობის დროს.

სწორედ ამიტომ საბჭოთა ხალხი აფასებს, უყვარს თავისი ბოლშევიკური პარტია და ენდობა მას. ეი რატომ წამოაყენეს საბჭოთა კავშირის მშრომელებმა უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ბოლშევიკური პარტიელი ორგანიზაციების ბევრი წევრი და ხელმძღვანელი მუშაკი.

აი რატომ არის, რომ მთელმა საბჭოთა ხალხმა ერთსულოვნად დაამტკიცა თავის პირველ კანდიდატად პარტიის ბელადი, ხალხთა ბელადი და ამაყობ ალ ეს ბელადი **სტალინი. (მქუხარე ტაში, ყველანი ფეხზე დგებიან. დარბაზში გაისმის შეძახილება: „გაუმარჯოს დიდ სტალინს“).**

როგორც წარსულ არჩევნებში, პარტია ახლაც გამოიღის უპარტიოებთან ბლოკით. პარტიის ყველა წევრი უპარტიო კანდიდატებს ხმას მისცემს ისეთივე ერთსულოვნებით, როგორც კომუნისტებს კანდიდატებს. ამასთან ერთად, პარტიის იმედი აქვს, რომ უპარტიო ამომრჩეველები თავიანთ ხმებს მისცემენ ბლოკის ყველა კანდიდატს —როგორც უპარტიოებს, ისე პარტიის წევრებს.

უდიდესი აღფრთოვანებით ემზადებიან არჩევნებისათვის საქართველოს და მისი დედაქალაქის—თბილისის მშრომელნი.

უნდა ვთქვა, რომ საქართველოს მუშებს, კოლმეურნეებსა და ინტელიგენციის თავიანთი განსაკუთრებული აფფაქალები აქვთ არჩევნებში მთლიანად და სავსებით დაუჭირონ ხმარი ჩვენს პარტიას.

ჩვენ მალე ვიდღესასწაულებთ საბჭოთა საქართველოს XXV წლისთავს. 25 წელი ხალხის ცხოვრებისათვის, განსაკუთრებით ისეთი ხალხისა, რომელსაც ,ეულტურული და პოლიტიკური ისტორიის 25 საუკუნე აქვს, — არც ისე დიდია. მით უფრო განსაკვეფრებელი და დიდებულია ის მიღწევები, რომლებიც ქართველმა ხალხმა მოიპოვა ამ შედარებით მცირე დროის განმავლობაში.

ქართველ ხალხს არასოდეს არ მოუღწევია ისეთი სიმაღლისათვის თავის ამჟამინდელ, კულტურულ და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში, როგორსაც საბჭოთა ხელისუფლების პირობებში მიაღწია.

საბჭოთა საქართველოს არსებობის 25 წლის განმავლობაში ბრწყინვალედ განვითარდნენ ქართველი ხალხის მაღალი სულიერი თვისებანი: მისი შრომისმოყვარეობა, მისი ნიჭი, მისი მამაცობა და ეროვნული თავისი სამშობლოსადმი. ბრძნულმა ლენინურ-სტალინურმა ეროვნულმა პოლიტიკამ უზარელესყო ნამდვილი აყვავება ქართული კულტურისა, რომელსაც ათასწლოვანი ტრადიციები აქვს.

ჩვენი რესპუბლიკის მეურნეობამ, მისმა მრეწველობამ და მიწათმოქმედებამ განვითარების მაღალ დონეს მიაღწიეს.

საკმაოა ითქვას, რომ საქართველოს მარტო მსგავი მრეწველობის წარმოების ძირითად საშუალებათა ღირებულება 1928 წლიდან 1944 წლამდე განვლილ პერიოდში 33-ჯერ, ე. ი. 3.300 პროცენტით გადიდდა.

ამასაგი **სტალინი** აღნიშნავდა, რომ მაოფლიოში ყველაზე ძვირფასი კაპიტალი ადამიანებს ანრაან. სწორედ ადამიანების აღზრდის, კადრების შექმნის საქმეში განსაკუთრებით რელიფფურად სრნან საბჭოთა საქართველოს ძიღწევები.

მოვიყვან რამდენიმე დამახასიათებელ ციფრს: მარტო უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში საქართველოს უმაღლესმა სასწავლებლებმა აღზარდეს და ჩვენს სახალხო მეურნეობას მისცეს 5.000-ზედ აგრონომი და სოფლის მეურნეობის სხვა სპეციალისტი და სხვადასხვა სპეციალობის 9.000-ზე მეტი ინჟინერი.

ამავე პერიოდში ჩვენმა უმაღლესმა სასწავლებლებმა გამოუშვეს 22.000-ზე მეტი სპეციალისტი სახალხო მეურნეობის სხვა დარგებისა და კულტურული ფრონტისათვის. ყველა ეს სპეციალისტი, რომლებიც მომაახტრებას უწევენ ჩვენს სახალხო მეურნეობას, გამოვიდა ხალხიდან, ძირითადად მეშებიდან და გლეხებიდან.

არ არის მეცნიერების არც ერთი დარგი, რომელშიც ქართველი მეცნიერები არ მუშაობდნენ. უფრო მეტიც, ჩვენ გვაქვს არა მარტო უმაღლესი სასწავლებლები, არამედ ჩვენი მეცნიერებათა აკადემიაც მრავალი ინსტიტუტით და სხვა სამეცნიერო-საკელვევი დაწესებულებებით.

ჩვენ მიღწევებს მეურნეობისა და კულტურის მშენებლობაში უნდა ვუმადლოდეთ იმას, რომ ქართველი ხალხი მარტოდმარტო როდია, არამედ ცხოვრობს საბჭოთა კავშირის თანასწორუფლებიან ხალხთა ძმურ ოჯახში. ხალხთა სტალინურმა მეგობრობამ, მათმა დარაზმულობამ და საერთო საბჭოთა სამშობლოსადმი ერთგულებამ ახსნა ჩვენი ქვეყანა ფაშისტური ავაზაკების მიერ დამონებისაგან.

აი რატომ უძღვნიან საბჭოთა ქვეყნის ხალხები თავიანთ მადლობას დიდ რუს ხალხს, ამ მეგობრობის მაორგანიზატორს, რომელმაც თავის დევგმირულ მხრებზე გადაიტანა საბჭოთა კავშირის ღირსებისა და დამოუკიდებლობისათვის ომის ძართობი სიმძიმე.

ქართველი ხალხი ესაზღვროდ ბედნიერია იმით, რომ დიდი **სტალინის** თანამებრძოლი ლავრენტი პაველს-ძე **ბერია** დაბადებულა ქენჯი იყოროს თბილისის — სტალინის საარჩევნო ოლქში. უდიდესია ამხანაგ **ბერიას** ისტორიული დამსახურება ქართველი ხალხის წინაშე, მთელი საბჭოთა კავშირის ხალხთა წინაშე. ეს დამსახურება ყველასათვის ცნობილია და თავისთავად მეტყველებს.

10 თებერვალს საბჭოთა საქართველოს ყველა კუთხეში ამომრჩეველთა ფიქრები და გრძნობები მიპყრობილი იქნება სტალინის საარჩევნო ოლქისადმი, სადაც ქენჯს იყრის ამხანაგი **ბერია,** ვინაიდან ამხანაგი **ბერია** დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენა მთელმა ქართველმა ხალხმა, და იგი სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში მთელი ქართველი ხალხის მიერ არჩეული იქნება. **(მქუხარე ტაში, ყველანი ფეხზე დგებიან. მთელი დარბაზის ოვაცია ამხანაგ ბერიას პატივსაცემად. შეძახილები: „გაუმარჯოს ამხანაგ ბერიას“).**

არჩევნებისათვის მზადება არის **ლენინის** საქმის განმტკიცების, ჩვენი სამშობლოს მხსნელის, საბჭოთა ხალხის იმედისა და სიამაყის — დიდი **სტალინისადმი** საყვარულისა და ნდობის საყოველთაო სახალხო გრძნობის მძლავრი დემონსტრაცია! **(მქუხარე ტაში, ყველანი ფეხზე დგებიან).**

10 თებერვალს საყოველთაო სახალხო დღესასწაულის დღეს, საქართველოს შშრომელნი, ისევე როგორც მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელნი, უკლებლივ მივლენ საარჩევნო ყუთებთან და ხმას მისცემენ კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს. ამით ისინი ისევ და კვლავ დაადასტურებენ თავიანთ ესაზღვრო ერთგულებას პარტიისადმი, სამშობლოსადმი, ამხანაგ **სტალინისადმი. (ტაში).**

უმაღლეს საბჭოში კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკს კანდიდატთა ერთსულოვანი არჩევნი ჩვენი კავშირის მშრომელები ცხადპაოფენ თავიანთ ერაყეკ ნებას — ბოლშევიკური პარტიის დროშით ბრძოლის ჩვენი ქვეყნისათვის ომით მიყენებული ჭრილობების ეს ნაწილ ფეს მოშუშებისათვის, დიდი საბჭოთა სახელმწიფოს საბჭერო და ეკონომიური ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის.

გაუმარჯოს კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკს ომამაკალ არჩევნებში!

გაუმარჯოს ბოლშევიკურ პარტიას — საბჭოთა ხალხის გამარჯვებათა ორგანიზატორს!

გაუმარჯოს ქართველი ხალხის საყვარელ შვილს, საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილ მოღვაწეს — ლავრენტი პაველს-ძე **ბერიას! (ტაში).**

დიდება დიდ **სტალინს! (მქუხარე ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან).**

1943-1944 ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲣᲠᲘ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲔᲑᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ, ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲘᲡ, ᲛᲠᲔᲕᲚᲝᲑᲘᲡ, ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲬᲔᲠᲜᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲘᲜᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით სტალინური პრემიები მიენიჭათ მეცნიერებს, ტექნიკოსებს, მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და ხელოვნების დარგში თვალსაჩინო ნაშრომებისა, გამოგონებებისა და გაუმჯობესებისათვის.

1943-1944 წლების სტალინური პრემიის ლაურეატთა შორის არიან ცნობილი მეცნიერები—სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ს. ი. ვავილოვი, ი. გ. პეტროვსკი, ვ. ა. ამბარცუმიანი, ვ. ნ. ბაკოვი, ბ. მ. ზავადოვსკი და სხვები, რომლებმაც მეცნიერება გაამდიდრეს ძვირფასი ნაშრომებით ცოდნის სხვადასხვა დარგში.

სტალინურ პრემიებს ღებენ აგრეთვე ახალი ტიპის თვითმფრინავებისა და ტორტების შემქმნელნი ს. ვ. ილიუშინი, ი. ვ. ბოტტინი, ა. ს. იაკოვლევი, ს. ა. ლავოჩკინი, ა. ა. მიკულინი, ალ. სხვები, აგრეთვე ახალი ნიმუშის საარტილერიო შეიარაღების შემქმედნი ვ. გ. გრაბინი, ლ. მ. ბოროდაცი, ა. ს. ერმოლაევი, მ. ა. ზარინეკი, ი. ი. ივანოვი, ფ. ე. ბრილი და სხვები.

სტალინური პრემიები მიენიჭათ უდიდესი სამხედრო ქარხნების დირექტორებს ა. ს. ელიანს, ი. მ. ზალეცკინსა და სხვებს ტექნოლოგიის ძირითადი ვაუქაფოებისა და წარმოების მაღალსაყოფიერი ნაკადული მეთოდის ორგანიზაციისათვის, რომელმაც უზრუველყოფა საკარელი გამოშვების ძალმეტოვანი გადიდება სამამაცულო ომის ორი ეკანასკნელი წლის მანძილზე.

სტალინური პრემიის ლაურეატთა შორის არიან წიაღის გამოკვლევნი, გეოლოგებები, რომელებმაც გაამდიდრეს ჩვენი ქვეყანა მთამდინელოს ახალი ადგილებიის აღმოჩენით—ვ. ა. ცარგრადელი, ნ. ა. კარეკინი და სხვები.

წარმოების ძირეული გაუმჯობესებისა, პრაქტიკაში ჩანერგნილ ახალ მეთოდთა დანერგვის, სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ახალი ჯიშებია დანერგვისა და ცხოველთა ახალი ჯიშების გამოყვანისათვის სტალინური პრემიები მიენიჭა საბჭოთა ინტელიგენციის დიდ რაზმს: ინჟინრებს, მეენერგე მუშაკებსა და აგრონომებს. მათ შორის არიან ა. ვ. ლორხი, ნ. ი. ლუკაშინი, კ. ფ. ფილიანსკი, კ. კ. ბრენოვი, ი. ი. ჩერნიაევი, მ. ი. ლეონიე და სხვები.

მხეოვან მეცნიერებთან, მოეკ ჩვენს ქვეყანაში ცხოველ კონსტრუქტორებთან ერთად გამომგონებლებთან ერთად ტალინური პრემიები მიენიჭათ ქარხნებისა და მტხეანის მუშებს, რომლებიც წარმოების ახალი, უფრო სრულყოფილი მეთოდების ინიციატორები გახდნენ. მათ შორის არიან: ე. ბ. ოგანოვი, ა. ვ. ფედოტოვი, ე. ვ. ბარიანოვიანი, ა. ვ. მაშკოვი, ა. ა. სმეტანინი, ფ. ბ. გარმანი, ა. ე. ლიფსოვი, ტ. ს. ბალეცკი, ლ. ტ. გოლოკოლოსოვი და სხვები.

ხელოვნებისა და ლიტერატურის დარგში თვალსაჩინო ნაშრომებისათვის სტალინური პრემიები მიენიჭათ ოფიციალურებს ი. ა. ბარინოვს, ნ. ი. ბაბაკოვსკის, ა. ნ. ხარატინოს, ფ. ფ. შოსტაკოვიჩს; პიანისტ ე. გ. გილელსს; ფიზიკოსებს ნ. ნ. ბოგოლიუბოვ და ე. ა. ბრაგინსკის; მსახიობებს ნ. პ. ხმელიოვს, ი. მ. მოსკვინს, ა. კ. ტარასოვას, მ. ი. ლატვინეკენ—ვოლგემეტს და სხვებს; კინოდოკუმენტალურ ფილმებ-ორებს, სცენარისტებს და მსახიობებს ს. მ. ეიზენშტეინს, მ. ს. დონსკოიოს, ნ. კ. ჩერკასოვს, ნ. მ. უფეიის, ე. ბ. ბორეფაკოვა, ბ. ნ. ანკასოვს და სხვებს; მხატვრებსა და მოქანდაკეებს ა. მ. გერასიმოვს, ა. ი. ალექსეევს, ზ. ი. აზბუკინს, ს. მ. ორლოვს; არქიტექტორებს ვ. ვ. ბეგლოვიანსა და ა. ნ. დუშკინს; მწერლებსა და პოეტებს: ვ. ი. შიშკოვს, ა. ნ. სტეპანოვს, ბ. ლ. გორბატოვს, ვ. ლ. ვასილევსკიასა, კ. მ. სიმონოვს, ა. ტ. ტვარდოვსკის, ა. ა. სურკოვს, ა. ნ. ტოლსტოის, ს. ი. მარშაკს და სხვ.

სტალინურ პრემიები მიენიჭათ სულ: მეეენერგიების დარგში: პირველი ხარისხის პრემია თვითეული 200 ათასი მანეთის რაოდენობით—17;

მეორე ხარისხის პრემია თვითეული 100 ათასი მანეთის რაოდენობით—24.

თვალსაჩინო გამოგონებისა და საწარმოო მუშაობის მეთოდების ძირეული გაუმჯობესებისათვის: პირველი ხარისხის პრემია თვითეული 150 ათასი მანეთის რაოდენობით—30;

მეორე ხარისხის პრემია თვითეული 100 ათასი მანეთის რაოდენობით—40;

მესამე ხარისხის პრემია თვითეული 50 ათასი მანეთის რაოდენობით—73.

თვალსაჩინო ნაშრომებისათვის ხელოვნებისა და ლიტერატურის დარგში: პირველი ხარისხის პრემია თვითეული 100 ათასი მანეთის რაოდენობით—31;

მეორე ხარისხი პრემია თვითეული 50 ათასი მანეთის რაოდენობით—44. (საკდნა).

ქალაქ თბილისის ბერიას რაიონის მშრომელთა წარმომადგენლების წინასაარჩევნო თათბირი

28 იანვარს, რუსთაველის თეატრში შესდგა ქალაქ თბილისის ბერიას რაიონის მშრომელთა წარმომადგენლების წინასაარჩევნო თათბირი. დარბაზში არიან საწარმოთა მუშების, მოსამსახურეებისა და ინჟინერ-ტექნიკოსების წარმომადგენლები, წითელი არმიის მებრძოლები და ოფიცრები, მასწავლებლები, მეცნიერების, ტექნიკის, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები, დიასახლისები, პარტიული, საბჭოთა და პროფკავშირული აქტივისტები.

თათბირის პრეზიდიუმში არიან ამხანაგები კ. ჩარკვიანი, ვ. ბუჯიაშვილი, ზ. ჩხუბიანიშვილი, ს. ხოშტარია, ს. იშხანოვი, ვ. გრიგორიანი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ნ. მუსხელიშვილი, აკადემიის ნამდვილი წევრი გ. ახვლედიანი, პროფესორი მ. თოიძე, სახალხო მოქანდაკე ი. ნიკოლაძე, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი თ. ჭავჭავაძე, ვ. კუპრაძე, გ. კიკნაძე, ი. მონიავა, ი. მოსაშვილი, ბ. ქლენტი, უ. ჯაფარიძე და სხვ.

თათბირი მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა ნდობით აღჭურვილმა პირმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა ნ. მუსხელიშვილმა.

— დღეს, როდესაც მთელი საბჭოთა ხალხი, — სთქვა ნ. მუსხელიშვილმა, — უდიდესი აღფრთოვანებით ემზადება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის, ყველა ჩვენგანის ფიქრები მიპყრობილია ხალხთა ბელადის, ჩვენი მშობლიური სტალინისაკენ. მადლობისა და უსაზღვრო სიყვარულის გრძნობით თვითეული ჩვენგანი წარმოსთქვამს:

— იყავ დღეგრძელი ჩვენო იმედო, მშობლიურო სტალინ!

ჩვენი ფიქრები მიპყრობილია დიდი სტალინის ურთგულესი თანამებრძოლებისაკენ. მათ შორის ჩვენთვის უაღრესად მახლობელია ამხანაგი ლავრენტი პავლეს-ძე ბერია, რომლის სახელთანაც უშუალოდ არის დაკავშირებული ჩვენი რესპუბლიკის აყვავება და დაწინაურება. მადლობის გრძნობით წარმოსთქვამს თვითეული ჩვენგანი:

— გაუმარჯოს ჩვენს საყვარელ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას!

მშრომელებმა ერთხმად დაასახელეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელი ამხანაგი კანდიდ ნესტორის-ძე ჩარკვიანი. ჩვენი რაიონის ამომრჩევლები დიდი სიხარულით შეხვდნენ ცნობას, რომ ამხანაგი ჩარკვიანი დათანხმდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობაზე კენჭი იყაროს ქალაქ თბილისის ბერიას საარჩევნო ოლქში. ამხანაგ ჩარკვიანს დიდი დამსახურება მიუძღვის ჩვენი რესპუბლიკის ზრდისა და განვითარების საქმეში. ნება მომეცით, ამხანაგო ამომრჩევლებო, თქვენი სახელით მივესალმო საქართველოს ბოლშევიკების მებრძოლ ხელმძღვანელს ამხანაგ კანდიდ ჩარკვიანს.

ჩვენს რაიონში ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობაზე კენჭს იყრის გამოჩენილი მუშაკი განათლების დარგში, კარგი პედაგოგი და მოქალაქე თამარ მიხეილის-ასული მათიაშვილი. ეჭვი არ არის, რომ ამომრჩევლები მასაც ერთსულოვნად მისცემენ ხმას.

ამხ. მუსხელიშვილს ხშირად აწყვეტინებდნენ სიტყვას მქუხარე ტაშითა და შეძახილებით.

თავმჯდომარემ თათბირი გახსნილად გამოაცხადა. შემოვიდა წინადადება საპატიო პრეზიდიუმის არჩევის შესახებ. წინადადებისათვის სიტყვა აიღო სტალინური პრემიის ლაურეატმა, მოქანდაკე ს. კაკაბაძემ.

— ამხანაგი **სტალინი!**

დარბაზში გაისმა მქუხარე ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან. გაისმის შეძახილები: „გაუმარჯოს მძლავრი სოციალისტური სახელმწიფოს კონსტიტუციის შემოქმედს დიდ სტალინს!“, „დღეგრძელობა დიდ სტალინს!“, „გაუმარჯოს ჩვენს ბელადს მშობლიურ სტალინს!“.

დიდ სტალინთან ერთად საპატიო პრეზიდიუმში მქუხარე ტაშითა და ოვაციებით არჩეულ იქნენ ამხანაგები **მოლოტოვი, კალინინი, ვოროშილოვი, კაგანოვიჩი, ანდრეევი, მიქოიანი, ჟდანოვი, ხრუშჩოვი, ბერია, შვერნიკი, მალენკოვი** და **ვოზნესენსკი**.

ტრიბუნაზე ადის ნდობით აღჭურვილი პირი, თბილისის რადიოქარხნის კოლექტივის წარმომადგენელი სტახანოველი მუშა ამხ. ა. ჯანელიძე.

— ჩვენი ქარხნის მუშებმა, მოსამსახურეებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა დამავალეს, — სთქვა მან, — გადმოგცეთ, რომ 10 თებერვალს ყველანი, როგორც ერთი კაცი, მივალთ საარჩევნო ყუთებთან და ხმას მივცემთ კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატებს.

ჩვენ ერთხმად დავასახელეთ ჩვენს კანდიდატად საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელი კანდიდ ნესტორის-ძე ჩარკვიანი. ყველა ჩვენგანმა იცის მისი დამსახურება განსაკუთრებით სამამულო ომის პერიოდში.

მოგიწოდებთ ხმა მისცეთ ჩვენს საყვარელ კანდიდატს ამხანაგ ჩარკვიანს. გთხოვთ აირჩიოთ აგრეთვე ახალი თაობის აღმზრდელი, მოწინავე პედაგოგი თამარ მიხეილის-ასული მათიაშვილი.

ამასთანავე დავალებული მაქვს გადმოგცეთ, რომ ჩვენი ქარხნის კოლექტივმა იკისრა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების აღსანიშნავად გადაჭარბებით შეასრულოს საწარმოო დავალებანი.

თავმჯდომარე სიტყვას აძლევს რესპუბლიკის სახალხო არტისტს თამარ ჭავჭავაძეს.

მგზნებარე სიტყვაში იგი მოუთხრობს თათბირს, თუ რა აღმავლობით ეგებება საბჭოთა ხალხი არჩევნების დღეს, რა დიდი მიღწევებით აღნიშნავს ამ საყოველთაო სახალხო ზეიმს.

— მხოლოდ ჩვენში — სტალინური კონსტიტუციის ქვეყანაში, — ამბობს ამხ. თ. ჭავჭავაძე, — არის შესაძლებელი, რომ ქალები სარგებლობდეთ მამაკაცთან თანასწორი უფლებით. მხოლოდ ჩვენში არის შესაძლებელი, რომ ხალხმა თავის კანდიდატად დაასახელოს ისეთი უბრალო, თავმდაბალი ადამიანი, როგორიც არის ჩვენი ბავშვების აღმზრდელი თამარ მიხეილის-ასული მათიაშვილი. ხალხთა ბელადს, ჩვენს სიამაყეს და სიხარულს—დიდს სტალინს უნდა ვუმადლოდეთ ამას ყველანი.

შემდეგ სიტყვით გამოდის უმცროსი სერჟანტი ამხ. ავერგინი. მან განაცხადა, რომ თბილისის გარნიზონის ის მებრძოლები, სერჟანტები და ოფიცრები, რომლებიც არჩევნებში კავშირის საბჭოს არჩევნების ქალაქ თბილისის ბერიას საარჩევნო ოლქში მიიღებენ მონაწილეობას, თავიანთ ხმას მისცემენ კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის ღირსეულ კანდიდატს ამხანაგ კანდიდ ნესტორის-ძე ჩარკვიანს, რომლის დამსახურებაც კავკასიის დაცვის დღეებში კარგად არის ცნობილი თვითეული მეომრისათვის.

პედაგოგი მატილდა ბერიძე მოუწოდებს ამომრჩევლებს ერთსულოვნად მივიდნენ 10 თებერვალს საარჩევნო ყუთებთან და აირჩიონ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებად ხალხის რჩეული შვილები, კომუნისტებისა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატები.

პატრიოტული სიტყვა წარმოსთქვა პოეტმა ილო მოსაშვილმა. მას ხშირად მქუხარე ტაშით აწყვეტინებდნენ სიტყვას, როდესაც ლაპარაკობდა ხალხთა ბელადის ამხანაგ სტალინის, ქართველი ხალხის საამაყო შვილის ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას და საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელის კანდიდ ნესტორის-ძე ჩარკვიანის შესახებ.

სიტყვა ეძლევა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს გ. ახვლედიანს. მან ილაპარაკა იმ უდიდესი ერთსულოვნებისა და დარაზმულობის შესახებ, რასაც მთელი საბჭოთა ხალხი იჩენს წინასაარჩევნო კრებებზე.

— მთელი ხალხის გრძნობები,—აღნიშნა მან, — მიმართულია დიდი სტალინისაკენ — ჩვენი ბედნიერი, თავისუფალი ცხოვრების შემომქმედისაკენ.

ორატორმა ილაპარაკა ამხანაგ კ. ნ. ჩარკვიანის მრავალმხრივ და ნაყოფიერ მოღვაწეობაზე და მოუწოდა ყველას მომავალ არჩევნებში ხმა მისცენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის ამ ღირსეულ კანდიდატს.

შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ბერიას რაიკომის მდივანმა ამხ. ა. გიგოშვილმა. მან გამოსთქვა რწმენა, რომ 10 თებერვალს ყველანი უკლებლივ მიიღებენ მონაწილეობას არჩევნებში და თავიანთ ხმებს მისცემენ კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატებს.

თავმჯდომარემ სიტყვა მისცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანს კანდიდ ნესტორის-ძე ჩარკვიანს.

მშრომელთა წარმომადგენლებით გაჭედილი დარბაზი ხანგრძლივი ტაშითა და ოვაციით შეხვდა ამხანაგ კ. ნ. ჩარკვიანის გამოჩენას ტრიბუნაზე.

ამხანაგ კ. ნ. ჩარკვიანის სიტყვის შემდეგ თათბირმა მიიღო მიმართვა ქალაქ თბილისის ბერიას რაიონის ყველა ამომრჩევლისადმი.

უდიდესი აღფრთოვანებით მიიღო თათბირმა მისასალმებელი დეპეშათა ტექსტები ხალხთა ბელადის ამხანაგ სტალინის და ქართველი ხალხის საამაყო შვილის ამხანაგ ლ. პ. ბერიას სახელზე.

მოსკოვიდან გაემგზავრა დიდი ბრიტანეთის ელჩი სერ არჩიბალდ კლარკ კერი

27 იანვარს მოსკოვიდან გაემგზავრა დიდი ბრიტანეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სერ არჩიბალდ კლარკ კერი.

ცენტრალურ აეროდრომზე სერ არჩიბალდ კ. კერი გააცილეს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საოქმო განყოფილების გამგემ ფ. ფ. მოლოჩკოვმა, მოსკოვში დიდი ბრიტანეთის საელჩოს წევრებმა საქმეთა დროებითი რწმუნებულის ბ-ნ ფ. რობერტსის მეთაურობით, ნორვეგიის ელჩმა ბ-ნმა რ. ანდვორდმა, საფრანგეთის ელჩმა გენერალმა ჟ. კატრუმ, ჩინეთის საქმეთა დროებითმა რწმუნებულმა ბ-ნმა ჩენ დინმა და ნიდერლანდის საელჩოს ატაშემ ბ-ნმა ა. იანცენმა.

საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა საყოველთაო-სახალხო დათვალიერება

საუბარი სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული უმაღლესი სკოლის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარესთან ამხ. ს. ვ. კაფტანოვთან

27 იანვარს გამოქვეყნდა მთავრობის დადგენილება სტალინური პრემიების მინიჭების შესახებ მეცნიერებისა და ტექნიკის გამოჩენილი მოღვაწეებისათვის, გამომგონებელთათვის და მრეწველობის სტახანოველებისათვის. სამშობლო მეოთხეჯერ ანიჭებს სტალინური ლაურეატის საპატიო წოდებას თავის საუკეთესო შვილებს. მიმდინარე წელს პრემიები მიენიჭათ დიდი სამამულო ომის ძლევამოსილად დამთავრების შემდეგ. გამარჯვების საქმეში თავისი წვლილი შეიტანა საბჭოთა ინტელიგენციამაც, რომლის უაღრესად ღირსეულ წარმომადგენლებს დღეს მიენიჭათ სტალინური ლაურეატების საპატიო წოდება.

საბჭოთა ფიზიკოსებმა, მექანიკოსებმა, მათემატიკოსებმა, ქიმიკოსებმა, ბიოლოგებმა, მედიკებმა, ასტრონომებმა ომიანობის დროის პირობებში დიდი თეორიული მუშაობა ჩაატარეს.

სტალინური პრემია მიენიჭა ფიზიკოსთა კოლექტივს აკადემიკოს ს. ი. ვავილოვის ხელმძღვანელობით თვალსაჩინო აღმოჩენებისათვის და ელექტრონების გამოსხივების მოვლენათა გამოკვლევისათვის მათი ზესხივოსანი სისწრაფით მოძრაობისას ნივთიერებაში.

პრემირებულია ახალგაზრდა საბჭოთა ასტროფიზიკოსი სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ვ. ა. ამბარცუმიანი. მან შექმნა სინათლის გაბნევის ახალი თეორია მღვრიე გარემოში. ამ გამოკვლევას დიდი მნიშვნელობა აქვს ასტროფიზიკის მთელი რიგი ამოცანების გადასაწყვეტად წყალქვეშ, ნისლში, ატმოსფეროში ბურუსის არსებობისას და ა. შ. ხილვადობის მიღწევისათვის.

სტალინური პრემია მიენიჭა გამოჩენილ მათემატიკოსს უკრაინის სს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს მ. ა. ლავრენტიევს არახაზოვანი ამოცანების გადაწყვეტის ახალი მათემატიკური მეთოდის შემუშავებისათვის დიფერენციალურ განტოლებათა სისტემაში კერძო წარმოებულიანად. ამ მეთოდმა ფართო გამოყენება ჰპოვა ჰიდროაერომექანიკის სამეცნიერო და ტექნიკური ამოცანების გადაწყვეტისას და იგი წარმოადგენს დიდ ინტერესს ჩვენი ავიაციისათვის.

ქიმიის დარგში შრომებისათვის პრემირებულია აკადემიკოსი როდიონოვი. უდიდეს ინტერესს წარმოადგენს მისი ნაშრომი ამინომჟავათა და რთულ გეტეროციკლურ შენაერთთა სინთეზის შესახებ. პირველი ხარისხის სტალინური პრემია მიენიჭა აკადემიკოს ა. ნ. ტერენინს — უდიდეს მეცნიერს, ფოტოქიმიკური პროცესების მკვლევარს.

სეჩენოვის, პავლოვის, ტიმირიაზევის რუსული ბიოლოგიური სკოლის სახელოვან ტრადიციებს დაუღალავად განაგრძობენ მათი მრავალრიცხოვანი მოწაფეები და მიმდევრები. 1943 წელს ბიოლოგიურ მეცნიერებათა წარმომადგენლებმა მოგვცეს მთელი რიგი ახალი შესანიშნავი ნაშრომები. სამხედრო-სამედიცინო საზღვაო აკადემიის პროფესორ კ. მ. ბიკოვის ნაშრომი—„თავის ტვინის ქერქი და შინაგანი ორგანოები“ წარმოადგენს უმაღლესი ნერვული მოქმედების შესახებ აკადემიკოს პავლოვის მოძღვრების განვითარების გაგრძელებას და ორიგინალური ნაწარმოებია, რომელიც ახალ დარგს აშუქებს ფიზიოლოგიაში.

თანამედროვე ომში დიდია ტექნიკურ მეცნიერებათა როლი, რომლებიც ხელს უწყობენ საბრძოლო იარაღის გაუმჯობესებას, ქარხნების, განსაკუთრებით მეტალურგიული, სამთო, მანქანათმშენებლობისა და ნავთის მრეწველობის ნაყოფიერების გადიდებას.

დიდ ინტერესს წარმოადგენს კოლექტივის მუშაობა ლენინგრადის სამთო ინსტიტუტის პროფესორ ნ. პ. ასეევის ხელმძღვანელობით. ამ კოლექტივმა ჩაატარა მადნების გამოკვლევა, რაც აუცილებელია ფერადი, განსაკუთრებით სპილენძ-ნიკელის მეტალურგიისათვის, შეიმუშავა ამ მადნების გამდიდრების მეთოდი და მათგან ლითონის გამოდნობის ტექნოლოგია.

საბჭოთა ტექნიკურ მეცნიერებაში სერიოზულ განძს წარმოადგენს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის კონტრ-ადმირალ პ. ფ. პაპკოვიჩის ორტომიანი ნაშრომი—„გემის სამშენებლო მექანიკა“.

პროფესორებს ა. ა. დოროდნიცინს და ლ. გ. ლოიცანსკის მიენიჭათ სტალინური პრემიები მათი შესანიშნავი ნაშრომისათვის თვითმფრინავების აეროდინამიკის დარგში.

დიდ წარმატებებს მიაღწია ჩვენმა საინჟინრო პრაქტიკამ ტურბომშენებლობაში. სტალინური პრემია მიენიჭა ინჟინრების კოლექტივს ნ. პ. ივანოვის ხელმძღვანელობით, რომელმაც შეიმუშავა მძლავრი ჰიდროტურბინებისა და გენერატორების კონსტრუქცია, რაც დადგმულია ზემო ვოლგის ჰიდროკვანძის შექსნისა და უგლიჩის ჰიდროსადგურებში. ამ კოლექტივის მიერ შექმნილი 55-ათას კილოვატიანი ჰიდროტურბინი წარმოადგენს მსოფლიოში ყველაზე უფრო მძლავრ ასეთი ტიპის ჰიდროტურბინს. სტალინური პრემიის ლაურეატების კოლექტივმა მ. ი. გრინბერგის ხელმძღვანელობით შექმნა ახალი ტურბინი და გენერატორი 100 ათასი კილოვატი სიმძლავრისა, რომელიც წუთში 3.000 ბრუნს აკეთებს. საჭიროა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ ასეთი სიმძლავრის და ასეთი რაოდენობის ბრუნის ორთქლის ტურბინები აქამდე მსოფლიო საინჟინრო პრაქტიკაში ცნობილი არ ყოფილა.

საზღვაო ხომალდებისათვის ახალი ნიმუშის სწრაფმოძრავი და მძლავრი დიზელების შექმნისათვის პრემირებულია ინჟინრების კოლექტივი ა. ი. კაზიაკინისა და ი. პ. მატვეევის ხელმძღვანელობით. ამ კოლექტივმა ჩვენს წყალქვეშა და წყალზედა საზღვაო ფლოტს მისცა სწრაფმოძრავი დიზელების შესანიშნავი ტიპები, წარმატებით გადასჭრა რა მძლავრი დიზელის შექმნის პრობლემა შედარებით მცირე გაბარიტების პირობებში.

ომიანობის დროის პირობებმა, ახალი სამრეწველო ცენტრების მშენებლობისა და განთავისუფლებულ რაიონებში მრეწველობის აღდგენის ამოცანებმა საბჭოთა სამეცნიერო-ტექნიკური აზრის წინაშე ახალი რთული ამოცანები დააყენეს. ჩვენი ინჟინრები წარმატებით სწყვეტენ მათ.

ინჟინერ-მშენებელთა კოლექტივმა ნ. ი. ლუკაშკინისა და ვ. ე. დიმშიცის ხელმძღვანელობით წარმატებით შეიმუშავა ბრძმედების სწრაფი მშენებლობისა და მონტაჟის ახალი მეთოდები, პრაქტიკულად განახორციელა რა ისინი ჩუსოვის და მაგნიტოგორსკის მეტალურგიულ ქარხნებში.

მეცნიერებისა და ტექნიკის გამოჩენილ მოღვაწეებთან ერთად სტალინური პრემია მიენიჭათ წარმოების ნოვატორებს ე. პ. აგარკოვს, ე. ბ. ბარიშნიკოვს და სხვებს.

სტალინური პრემიის ლაურეატობის წოდების ღირსი გახდა საბჭოთა გეოლოგების დიდი ჯგუფი. ომმა დააყენა მათ წინაშე გადაუდებელი ამოცანა — გაეფართოებინათ ჩვენი მრეწველობის ნედლეულის ბაზა. ბ. ნ. ეროფეევს მიენიჭა პრემია კალის საბადოების აღმოჩენისათვის, ნ. ა. კარჟავინს — ურალში ალუმინის ბაზის შექმნისათვის. ი. ი. ენგურაზოვმა და ლ. ა. კუზნეცოვმა უდიდესი მუშაობა ჩაატარეს სარატოვის მახლობლად მდებარე ელშანის გაზის საბადოს აღმოჩენისა და გამოკვლევის დარგში. წითელ არმიას ფასდაუდებელი დახმარება გაუწიეს სამამულო ომის წლებში საბჭოთა სამედიცინო მეცნიერების მოღვაწეებმა. მათ შეიმუშავეს ჭრილობების მკურნალობის ახალი მეთოდები, გამოიყენეს ახალი ქირურგიული წესები, ააგეს სრულყოფილი აპარატურა ჰოსპიტლებისა და კლინიკებისათვის. მედიცინის დარგში საუკეთესო ნაშრომებს მიენიჭათ სტალინური პრემია. იგი მიენიჭა ტამბოვის ოლქის ევაკოჰოსპიტლების ქირურგს პროფესორ-კონსულტანტს ვ. ფ. ვოინო-იასენეცკის ჩირქოვან დაავადებათა და ჭრილობების მკურნალობის ახალი ქირურგიული მეთოდების მეცნიერულად დამუშავებისათვის. პრემიები მიენიჭათ ტომსკის სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორ ბ. ი. ბაიანდუროვს, ექიმთა კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრალური ინსტიტუტის პროფესორს ა. ე. რაუერს.

ღრმა კმაყოფილების გრძნობით მიესალმებიან წითელი არმია და მთელი საბჭოთა ხალხი საბრძოლო იარაღის გამომგონებელ-შემქმნელთა დაჯილდოებას. სტალინური პრემიები მიენიჭათ გამოჩენილ საბჭოთა კონსტრუქტორებს, რომლებმაც შექმნეს პირველხარისხოვანი საბრძოლო მანქანები და საჭურველი. ლაურეატებს შორის ჩვენ ვხედავთ სოციალისტური შრომის გმირს ა. ს. იაკოვლევს, რომელმაც შექმნა თვითმფრინავის ახალი კონსტრუქცია და გააუმჯობესა მის მიერ წინათ შექმნილი კონსტრუქციები, სოციალისტური შრომის გმირს ვ. ე. კლიმოვს—საავიაციო მოტორების კონსტრუქციის ავტორს.

მთავრობამ მაღალი შეფასება მისცა სოციალისტური შრომის გმირის ჟ. ი. კოტინის მიღწევებს, რომელმაც შექმნა სატანკო შეიარაღების ახალი ნიმუშები, ა. ნ. ბულაშევის მიღწევებს, რომელმაც თავის კოლექტივთან ერთად დაამუშავა თვითმავალი არტილერიის ახალი ნიმუშები, სოციალისტური შრომის გმირის ფ. ფ. პეტროვის ინჟინერთა კოლექტივის მიღწევებს, რომელმაც მოგვცა საარტილერიო შეიარაღების ახალი ნიმუშები და სხვ.

საბჭოთა ინტელიგენცია დაუღალავად მუშაობს წითელი არმიისათვის შეიარაღების გასაუმჯობესებლად, ჩვენი ქარხნების ნაყოფიერების გასადიდებლად, მრეწველობისათვის ნედლეულის ახალი წყაროების აღმოსაჩენად, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრების მოსავლიანობის გასადიდებლად.

საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის მოღვაწენი, მეცნიერები და კონსტრუქტორები, გამომგონებლები და სტახანოველები, სტალინური მზრუნველობით აღფრთოვანებულნი, მთელ თავიანთ ძალასა და ცოდნას მოახმარებენ ღვიძლ სამშობლოს, მისი ეკონომიური და სამხედრო ძლიერების განმტკიცებას. (საქდესი).

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პირველი სესია

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის მიმართვის განხილვა საერთო კომიტეტში

ლონდონი, 25 იანვარი. (საქდესი). გენერალური ასამბლეის საერთო კომიტეტის გუშინ საღამოს შემდგარ სხდომაზე იდგა ჩინეთის წარმომადგენლის ველინგტონ კუს მოხსენება. ველინგტონ კუ იმ ქვეკომიტეტის თავმჯდომარეა, რომელიც წინათ შეიქმნა იმ საკითხის განსახილველად, თუ როგორ მოეპყრონ მიმართვებს, რომლებიც სხვადასხვა ორგანიზაციებისა და პირებისაგან მოდის გაერთიანებული ერების მისამართით.

რამდენადაც საერთო კომიტეტის ზოგიერთმა წევრმა საჭიროდ ჩასთვალა განსაზღვრული დრო ჰქონდეთ იმ წინადადებათა განსახილველად, რომლებიც ველინგტონ კუმ წარადგინა, საერთო კომიტეტი დათანხმდა გადასდოს ამ რეკომენდაციების განხილვა კომიტეტის ერთ-ერთ უახლოეს სხდომამდე. მაგრამ პრინციპულად გადაწყდა, რომ იმ მიმართვების განსახილველად, რომლებიც აუცილებლად შემოვა, სასურველი იქნებოდა გენერალური ასამბლეის ყოველი სესიის დროს ინიშნებოდეს სპეციალური დროებითი ქვეკომიტეტი.

შემდეგ კომიტეტმა განიხილა საკითხი პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის მიმართვის შესახებ. სპააკმა, როგორც საერთო კომიტეტის თავმჯდომარემ და ასამბლეის თავმჯდომარემ, შემდეგი წინადადება შეიტანა:

„საერთო კომიტეტმა, განიხილა რა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის თხოვნა, გადასწყვიტა, რომ ლაპარაკიც არ შეიძლება ამ ფედერაციისათვის ეკონომიურ და სოციალურ საბჭოში ხმის უფლების მიცემაზე, რომ ასეთი უფლების მიცემა აშკარად დაარღვევდა წესდებას და რომ თუნდაც ამ თვალსაზრისით მოთხოვნის ეს ნაწილი უარყოფილ უნდა იქნას. მეორე მხრივ, საერთო კომიტეტის მთელი რიგი წევრები ფიქრობენ, რომ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის ერთგვარი მონაწილეობა გაერთიანებული ერების მუშაობაში მეტად სასურველი იქნებოდა ფედერაციის მნიშვნელობის, მისი განსაკუთრებული ხასიათისა და იმ უდავო გავლენის გათვალისწინებით, რომლითაც იგი მუშათა მოძრაობაში სარგებლობს. ეს წევრები ფიქრობენ, რომ ნავარაუდევი თანამშრომლობა უნდა განხორციელდეს მაქსიმალურად ფართო მასშტაბით, რის შესაძლებლობასაც წესდება იძლევა. სწორედ ამ სულისკვეთებით ისინი ასამბლეას წარუდგენენ შემდეგს ორ რეზოლუციას:

1) რომ ასამბლეამ გადასწყვიტოს შექმნას ოფიციალური წარმომადგენლებისა და მუდმივი სტუმრების სპეციალური კატეგორია, რომელთა შორისაც იქნებიან პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის წარმომადგენლები. ამ სტუმრებს მიეცემათ სპეციალური ადგილები ასამბლეის სხდომათა დარბაზში ისე, რომ ისინი არ ითვლებოდნენ არც დელეგატებად და არც საზოგადოებად. ყოველწლიური ანგარიშის საერთო განხილვის შემდეგ ანდა ასამბლეის გადაწყვეტილებით ერთი ან რამდენიმე სხდომა მიეძღვნება ამ ოფიციალური წარმომადგენლებისა და მუდმივი სტუმრების გამოსვლებს.

2) რომ ასამბლეამ გადასწყვიტოს ურჩიოს ეკონომიურ და სოციალურ საბჭოს წესდების 71 მუხლის მიხედვით ჩაატაროს პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციასთან მუდმივი კონსულტაცია საბჭოს იმ კომიტეტის მუშაობის შესახებ, რომელიც შექმნილია ეკონომიკისა და შრომის საკითხებზე და სოციალურ საკითხთა დროებითი ქვეკომიტეტის მუშაობის შესახებ და მიიწვიოს ხოლმე ფედერაციის წარმომადგენლები მონაწილეობა მიიღონ ეკონომიური და სოციალური საბჭოს იმ სხდომებში, რომლებზეც განხილულ იქნება ამ ორი ქვეკომიტეტის კომპეტენციაში შემავალი საკითხები“.

ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის წევრმა სენატორმა კონელიმ განაცხადა: „ჩვენ, ამერიკის დელეგაციის წევრები, საწინააღმდეგო აზრს გამოვთქვამთ, თუ საერთო კომიტეტი გაჰყვება შეთავაზებულ კურსს“.

კონელიმ განაცხადა, რომ საერთო კომიტეტს უფლება არა აქვს ასეთი რეკომენდაციები მისცეს გენერალურ ასამბლეას.

ინგლისის დელეგატმა ნოელ-ბეიკერმა წამოაყენა სპააკის წინადადების ზოგიერთი შესწორება და წინადადება შეიტანა, რომ კომიტეტმა გადასდოს რეზოლუციის განხილვა, რათა კომიტეტის წევრებს საკმაო დრო ჰქონდეთ მისი განხილვისათვის.

უკრაინის სსრ დელეგატი ამხ. მანუილსკი დაეთანხმა იმას, რომ საჭიროა დამატებითი დრო რეზოლუციის განსახილველად, მაგრამ ამავე დროს განაცხადა, რომ ეს რეზოლუცია წარმოადგენს წინგადადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯს და რომ მის საფუძველზე შეიძლება კომპრომისის მიღწევა. ამხ. მანუილსკიმ აღნიშნა, რომ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის მიწვევით—მონაწილეობა მიიღოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მუშაობაში შეიძლება მხოლოდ ამ ორგანიზაციის გაძლიერება და მთელი მსოფლიოს მუშათა წინაშე ვალდებულებათა შესრულება.

ახალი ზელანდიის დელეგატი ფრეზერი, რომელიც შემდეგ გამოვიდა, შეეხო პროცედურის ბევრ მუხლს. კერძოდ, მან მოითხოვა გულდასმით განხილულ იქნას საკითხი იმის შესახებ, შეუძლია თუ არა საერთო კომიტეტს წარუდგინოს გენერალურ ასამბლეას რეკომენდაციები პოლიტიკის შესახებ და მოითხოვოს მათი მიღება, ანდა მხოლოდ წარუდგინოს რეკომენდაციები, როგორც მოლაპარაკების საფუძველი.

ამის შემდეგ გამოვიდა საბჭოთა დელეგატი ამხ. გრომიკო, რომელმაც განაცხადა, რომ საფუძველი არა გვაქვს ვიფიქროთ, თითქოს პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის თხოვნის დაკმაყოფილება გაერთიანებული ერების წესდების დარღვევა იქნება.

ამხანაგმა გრომიკომ აზრი გამოსთქვა იმ წინადადების წინააღმდეგ, რომ კომიტეტმა არ გამოიტანოს არავითარი გარკვეული გადაწყვეტილება, არამედ უბრალოდ გადასცეს საკითხი გენერალურ ასამბლეას. გრომიკო შეეხო რეზოლუციას და განაცხადა, რომ იგი ძალიან შორს მიდის. რა საჭიროა სტუმრების სპეციალური კატეგორიის გამოყოფა, თუ კი მოთხოვნა მიღებულია ერთი ორგანიზაციისაგან, იკითხა ამხ. გრომიკომ.—რატომ უნდა ვილაპარაკოთ ეკონომიური და სოციალური საბჭოს ერთ ან ორ კომიტეტზე, რომელთა მუშაობაშიც პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციას შეუძლია მონაწილეობის მიღება? ამხ. გრომიკომ აღნიშნა, რომ საბჭოთა დელეგაციას არ შეუძლია დაეთანხმოს რეზოლუციას ამ სახით და წინადადება შეიტანა საკითხი გაიყოს ორ ნაწილად—საკითხად გენერალური ასამბლეის მუშაობაში პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის მონაწილეობის შესახებ და საკითხად სოციალური და ეკონომიური საბჭოს მუშაობაში მისი მონაწილეობის შესახებ—და ეს საკითხები განხილულ იქნას ცალცალკე.

საფრანგეთის წარმომადგენელმა პოლ-ბონკურმა ენერგიულად დაუჭირა მხარი წინადადებას გამოტანილ იქნას გარკვეული დადებითი გადაწყვეტილება და გაილაშქრა კონელის მიერ გამოთქმული თვალსაზრისის წინააღმდეგ.

სამხრეთ აფრიკის დელეგატი ენდრიუსი მიემხრო ამერიკის დელეგაციის თვალსაზრისს.

ამხ. მანუილსკიმ წინადადება შეიტანა გადადებულ იქნას მოლაპარაკება გენერალური ასამბლეის მუშაობაში პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის მონაწილეობის შესახებ და განგრძობილ იქნას განხილვა საკითხისა ეკონომიური და სოციალური საბჭოს მუშაობაში მისი მონაწილეობის შესახებ.

რამდენადაც შემდგომი კამათის დროს შეთანხმება მიღწეული არ ყოფილა, მიღებულ იქნა სპააკის წინადადება შეიქმნას ქვეკომიტეტი მანუილსკის, ფრეზერის, კონელის, ნოელ-ბეიკერისა და სპააკის შემადგენლობით რეზოლუციის საბოლოო ტექსტის შესამუშავებლად და საერთო კომიტეტის შემდეგ სხდომაზე მის წარსადგენად.

უშიშროების საბჭოს სხდომა

ლონდონი, 25 იანვარი. (საქდესი). დღეს ჩერჩ-ჰაუსის შენობაში შესდგა უშიშროების საბჭოს სხდომა. დღის წესრიგში იდგა საკითხი იმ წერილების განხილვის პროცედურას შესახებ, რომლებიც მიღებულია ირანის, საბჭოთა კავშირისა და უკრაინის დელეგაციებისაგან.

მანამდე, სანამ ამ საკითხის განხილვა დაიწყებოდა, განხილულ იქნა დღის წესრიგას სხვა პუნქტები. უწინარეს ყოვლისა განხილულ იქნა დღის წესრიგის მე-8 პუნქტი სამხედრო საშტაბო კომიტეტის შექმნის შესახებ. ამერიკის დელეგატმა სტეტინიუსმა ბევინის მხარდაჭერით წინადადება შეიტანა, რომ ეს პუნქტი მიღებულ იქნას და რომ სამხედრო საშტაბო კომიტეტი შეიკრიბოს ლონდონში 1 თებერვალს. საბჭოთა დელეგატმა ა. ი. ვიშინსკიმ განაცხადა, რომ საბჭოთა მთავრობამ თავის წარმომადგენლებად დანიშნა გენერალი ვასილიევი, ვიცე-ადმირალი ბოგდენკო და გენერალ-მაიორი შარაპოვი. მის მიერ მიღებული ინფორმაციის თანახმად ეს წარმომადგენლები ლონდონს ჩამოვლენ 1 თებერვალს. თუ მათ მოახერხეს ლონდონს თავის დროზე ჩამოსვლა, სთქვა ამხ. ვიშინსკიმ, იგი წინააღმდეგი არ არის, რომ სხდომა 1 თებერვალს შესდგეს.

მიღებულ იქნა ამერიკის წინადადება — სხდომა დაინიშნოს 1 თებერვალს იმ პირობით, რომ საჭიროების შემთხვევაში სხდომა შეიძლება გადაიდოს.

უშიშროების საბჭოს თავმჯდომარემ მეიკინმა განაცხადა, რომ საბჭოს ცნობისათვის ქრონოლოგიური წესით წარუდგენს მის მიერ მიღებულ ზოგიერთ წერილს,—ირანის დელეგაციის წერილს, რომელიც მიმართულია მოსამზადებელი კომისიის აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის ჯებისადმი, საბჭოთა დელეგაციის მეთაურის მოვალეობის აღმსრულებლის წერილს, რომელიც მიმართულია უშიშროების საბჭოს თავმჯდომარისადმი, საბერძნეთში არსებული მდგომარეობის შესახებ, და წერილს, რომელიც მიღებულია უკრაინის დელეგაციის მეთაურისაგან—ინდონეზიაში არსებული მდგომარეობის შესახებ. უშიშროების საბჭოს წევრებს დაურიგდათ აგრეთვე საბჭოთა დელეგაციის მეთაურის ა. ი. ვიშინსკისაგან მიღებული წერილი ირანის დელეგაციის წერილის შესახებ.

თავმჯდომარემ წერილები დაასახელა ქრონოლოგიური წესით და იკითხა, სურს თუ არა საბჭოს, რომ ირანის დელეგაციის წერილი და ა. ი. ვიშინსკის წერილი შეტანილ იქნას დღის წესრიგში. რამდენადაც საწინააღმდეგო აზრი გამოთქმული არ ყოფილა, სთქვა თავმჯდომარემ, ეს პუნქტი შეტანილ იქნება დღის წესრიგში.

ა. ი. ვიშინსკიმ აღნიშნა, რომ მას არაფერი არა აქვს საწინააღმდეგო, თუ ეს პუნქტი შეტანილ იქნება შემდეგი სხდომის დღის წესრიგში. მაგრამ განმარტა, რომ საბჭოთა დელეგაციამ თავისი მოსაზრებანი წარმოადგინა ამ საკითხის შესახებ და დაამტკიცა, რომ ირანის მთავრობის წარდგინება უშიშროების საბჭომ არ უნდა განიხილოს.

თავმჯდომარე დაეთანხმა, რომ დღის წესრიგში პუნქტის შეტანასთან დაკავშირებით საბჭოთა დელეგაციას შესაძლებლობა ექნება განხილვის დასაწყის სტადიაში შემოიტანოს ისეთი წინადადება, როგორსაც იგი საჭიროდ ჩასთვლის. საბჭოთა დელეგაციის ნება მიეცემა მიიღოს ისეთი ზომები, როგორსაც იგი შესაფერისად ჩასთვლის.

ბევინმა განაცხადა, რომ იგი ისწრაფვის, რათა ყველა ამ საკითხზე მოსმენილ იქნას მხარეები, რომლებმაც პრეტენზიები წარმოადგინეს. სტეტინიუსმა განაცხადა, რომ, ამერიკის მთავრობის აზრით, „ყოველ მთავრობას—გაერთიანებული ერების წევრს, რომელსაც საჩივარი შემოაქვს, უფლება აქვს მოსმენილ იქნას აქ“.

ბადავი-ფაშის (ეგვიპტე), ვან კლეფენსის (ჰოლანდია), ა. ი. ვიშინსკისა და ბევინის გამოსვლების შემდეგ თავმჯდომარემ წინადადება შეიტანა დაინიშნოს შემდეგი სხდომის დრო და თარიღი და აღნიშნა, რომ თვით საბჭოს საქმეა გადასწყვიტოს, განცხადებათა განხილვას შეუდგება იგი თუ მიმართავს რაიმე სხვა მოქმედებას, რომელიც შესაფერისად მიაჩნია.

სტეტინიუსმა წინადადება შეიტანა უშიშროების საბჭოს სხდომა შესდგეს 28 იანვარს 15.00 საათზე და 30 იანვარს 15.00 საათზე. ეს წინადადება მიღებულ იქნა.

სხდომის ბოლოს თავმჯდომარემ მეიკინმა განაცხადა, რომ მან იუგოსლავიის მთავრობისაგან მიიღო წარდგინება, რომელშიც წამოყენებულია წინადადება დაისვას საკითხი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად ალბანეთის დაშვების შესახებ. ა. ი. ვიშინსკიმ მხარი დაუჭირა იუგოსლავიის ამ წინადადებას და წინადადება შეიტანა ეს საკითხი განხილულ იქნას უშიშროების საბჭოს შემდეგ სხდომაზე.

სტეტინიუსმა შენიშნა, რომ შესაძლებელია უმჯობესი იყოს ამ საკითხის განხილვა გადაიდოს იმ მომენტამდე, როდესაც შემოვა რამდენიმე ასეთი წინადადება და შესაძლებელი იქნება ერთდროულად განხილულ იქნას საკითხი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრებად ყველა იმ ქვეყნის მიღების შესახებ, რომლებმაც ასეთი მოთხოვნები წამოაყენეს.

მაგრამ თავმჯდომარემ არ მოიწონა სტეტინიუსის წინადადება და შენიშნა, რომ უფრო სწორი იქნება ასეთი მოთხოვნები განხილულ იქნას მათი მიღების მიხედვით.

პოლონეთის დელეგატმა მოძელევსკიმ განაცხადა, რომ იგი სავსებით ეთანხმება იუგოსლავიის დელეგაციის წინადადებას და იწონებს უშიშროების საბჭოს შემდეგი სხდომის დღის წესრიგში ამ საკითხის შეტანას.

საწინააღმდეგო აზრი გამოთქმული არ ყოფილა. და თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საკითხი შეტანილ იქნება უშიშროების საბჭოს 28 იანვრის მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

ამით დამთავრდა უშიშროების საბჭოს სხდომა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები

სტეფანე სოლომონის-ძე მამულოვი

ამხ. ს. ს. მამულოვი დაიბადა 1902 წელს ქალაქ თბილისში. 1921 წელს იგი შევიდა ბოლშევიკური პარტიის რიგებში. ორი წლის განმავლობაში წითელ არმიაში იმყოფებოდა, შემდეგ გაიგზავნა ხელმძღვანელ პარტიულ სამუშაოზე აფხაზეთში. მას ირჩევენ საქართველოს კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრად და აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრად.

1927-დან 1931 წლამდე ამხ. მამულოვი მუშაობდა თბილისში, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის აპარატში, ხოლო შემდეგ ყაზახეთსა და დნეპროპეტროვსკში ხელმძღვანელ პარტიულ სამუშაოზე.

1934 წლიდან ამხ. მამულოვი მუშაობს თბილისში, ჯერ საკავშირო კ. პ. (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტში, შემდეგ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების განყოფილების გამგედ. მას ირჩევენ საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მესამე მდივნად, შემდეგ მუშაობს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სასოფლო-სამეურნეო განყოფილების გამგედ.

1938 წლიდან დღემდე ამხ. ს. ს. მამულოვი არის პასუხსაგებ სამუშაოზე სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში.

სახელმწიფო უშიშროების დაცვის საქმეში დამსახურებათათვის და მთავრობის სპეციალურ დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის გენერალ-ლეიტენანტი ს. ს. მამულოვი დაჯილდოებულია წითელი დროშის ორდენით, სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენით, წითელი ვარსკვლავის ორდენით, აგრეთვე მედლით „კავკასიის დაცვისათვის".

რაფიელ ილიას-ძე აგლაძე

პროფესორი რ. ი. აგლაძე საბჭოთა ტექნიკური ინტელიგენციის გამოჩენილი წარმომადგენელია. ხელმძღვანელობდა რა ახალ წარმოებას ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში, მან სამამულო ომის წლებში შეიმუშავა მარგანეცის მიღების ელექტროლიზური წესი, რასაც დიდი სამრეწველო მნიშვნელობა აქვს. ამხ. აგლაძეს 1943 წელს მიენიჭა სტალინური პრემიის ლაურეატის წოდება.

ქარხანაში პრაქტიკულ მუშაობას პროფესორი რ. ი. აგლაძე ათავსებს მეცნიერულ და პედაგოგიურ მოღვაწეობასთან. იგი სათავეში უდგას საქართველოს სს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტს, ხოლო საქართველოს ინდუსტრიულ ინსტიტუტში განაგებს კათედრას.

1945 წლის აპრილში პროფესორი რ. ი. აგლაძე სამხედრო მრეწველობის ლითონით უზრუნველყოფის, ახალი მარკების ფოლადის ათვისებისა და სიმძლავრის გადიდების დარგში თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის დაჯილდოებულ იქნა **ლენინის** ორდენით. რ. ი. აგლაძე დაჯილდოებულია აგრეთვე მედლით „კავკასიის დაცვისათვის".

ამხ. რ. ი. აგლაძე დაიბადა 1911 წელს თბილისში, ლიტერატორის ოჯახში. 1934 წელს, საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, იგი გაიგზავნა ჩერნორეჩენსკის ქიმკომბინატში. კომბინატში ერთი წლის მუშაობის შემდეგ ამხ. აგლაძე შევიდა მოსკოვის მენდელეევის სახელობის ქიმიურ-ტექნოლოგიური ინსტიტუტის ასპირანტურაში. აქვე 1939 წელს მიიღო დოცენტის წოდება.

1941 წელს რ. ი. აგლაძე გაიგზავნა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში ლითონური მარგანეცის წარმოების მოსაწყობად.

1944 წელს რ. ი. აგლაძემ მიიღო ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის წოდება. საკავშირო კ. პ. (ბ) წევრად შევიდა 1939 წელს.

ამომრჩეველთა შეხვედრები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებთან

(„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტებისაგან)

ზ უ გ დ ი დ ი

27 იანვარს ლენინის მოედანზე ათასზე მეტი ამომრჩეველი შეიკრიბა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებთან შეხვედრისადმი მიძღვნილი მიტინგი შესავალი სიტყვით გახსნა დამსახურებულმა მასწავლებელმა მ. პატარაიამ.

სიტყვას იღებს მშრომელთა დეპუტატების ზუგდიდის რაისაბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილების გამგე ბ. გობეჩია.

— კავშირის საბჭოს არჩევნების ფოთის № 560 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ,—სთქვა მან,—რეგისტრაციაში გაატარა ამხ. მ. ი. ბარამიას კანდიდატურა, ხოლო ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ზუგდიდის № 104 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ—ამხ. ქ. პ. სარსანიას კანდიდატურა. ისინი საბჭოთა სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოს დეპუტატობის ღირსეული კანდიდატები არიან.

ორატორი დამსწრეთ მოუთხრობს დეპუტატობის კანდიდატების საქმიანობაზე, მათს დამსახურებაზე ჩვენი სამშობლოს წინაშე. ბოლოს იგი ამომრჩევლებს მოუწოდებს 10 თებერვალს ერთსულოვნად მისცენ ხმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის ღირსეულ კანდიდატებს მ. ი. ბარამიას და ქ. პ. სარსანიას.

ტრიბუნაზეა კომკავშირის ზუგდიდის რაიკომის მდივანი ამხ. ტ. გრიგოლია.

— ჩვენი რაიონის ახალგაზრდობა,— სთქვა გრიგოლიამ—კარგად იცნობს მიხეილ ივანეს-ძე ბარამიას, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანს, ლენინ-სტალინის პარტიის ერთგულ შვილს, ენერგიულ პარტიულ მუშაკსა და ნიჭიერ ორგანიზატორს. მისი ღვაწლი სამშობლოს წინაშე დაფასებულია მთავრობის ჯილდოებით.

ჩვენი რაიონის ახალგაზრდები აგრეთვე კარგად იცნობენ ქსენია პავლეს-ასულ სარსანიას, სოციალისტური სოფლის მეურნეობის სტახანოველს, ჩაის კრეფის ცნობილ ოსტატს.

ახალგაზრდა ამომრჩევლები, რომელთა რაოდენობა რაიონში ხუთი ათასს აღემატება, 10 თებერვალს უკლებლივ გამოცხადდებიან საარჩევნო ყუთებთან და ხმას მისცემენ ჩვენს ღირსეულ კანდიდატებს.

სიტყვით გამოდის ინგურქაღალდკომბინატის საარჩევნო უბნის ნდობით აღჭურვილი პირი თ. რამიშვილი. იგი ლაპარაკობს იმ საწარმოო აღმავლობაზე, რასაც კომბინატში აქვს ადგილი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების დღეებში.

დასასრულ სიტყვით გამოვიდნენ დეპუტატობის კანდიდატები ამხ. მ. ი. ბარამია და ქ. პ. სარსანია. მათ მხურვალე მადლობა გადაუხადეს ამომრჩევლებს დიდი ნდობისათვის.

მიტინგზე მიღებულ იქნა მისალმება ხალხთა ბელადის დიდი სტალინის და ქართველი ხალხის საამაყო შვილის ლ. პ. ბერიას სახელზე.

ს ტ ა ლ ი ნ ი რ ი

600-ზე მეტი ამომრჩეველი შეიკრიბა 26 იანვარს სტალინირის ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთან—ზაქარია ნიკოლოზის-ძე კეცხოველთან შესახვედრად.

დამსახურებულმა პედაგოგმა ამხ. ჯუმარიტოვმა დამსწრეთ გააცნო საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილისა და კვების მრეწველობის სახალხო კომისრის ამხ. ზ. ნ. კეცხოველის ბიოგრაფია და იმედი გამოსთქვა, რომ 10 თებერვალს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს სტალინირის № 117 საარჩევნო ოლქის ამომრჩევლები ერთსულოვნად მისცემენ მას ხმას.

ამომრჩეველ ქალთა სახელით სიტყვას ამბობს ამხ. ნ. გაგლოევა.

—სტალინურმა კონსტიტუციამ, — ამბობს იგი,—განამტკიცა ქალის თანასწორუფლებიანობა. საბჭოთა ქალი ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების აქტიური მონაწილეა. ამიტომ ჩვენ, ქალები, ერთსულოვნად მივცემთ ხმას კომუნისტთა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატებს.

სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე დრამატურგი დ. კუსოვი, მასწავლებელი ვ. კასრაძე, მოსწავლე ბეკოევა. ისინი გულთბილად ლაპარაკობენ თავიანთ კანდიდატზე.

დასასრულ სიტყვით გამოვიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი ამხ. ზ. ნ. კეცხოველი, რომელმაც მადლობა გადაუხადა ამომრჩევლებს ნდობისათვის და სიტყვა მისცა მთელი თავისი ძალღონე მოახმაროს სამშობლოს, ხალხის სამსახურს.

ს ა ჩ ხ ე რ ე

24 იანვარს ჩალაურთის საკოლმეურნეო კლუბში № 59 საარჩევნო უბნის ამომრჩევლები შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს ამხ. კალენიკე გიორგის-ძე ლავთაძეს. შეხვედრას 650 ამომრჩეველი დაესწრო.

შეხვედრა გახსნა უბნის ნდობით აღჭურვილმა პირმა სკოლის დირექტორმა ამხ. თორნიკე ჩაჩანიძემ. მან დაახასიათა დეპუტატობის კანდიდატების ამხ. აგლაძისა და ლავთაძის თავდადებული მუშაობა ჩვენი სამშობლოსათვის.

კოლმეურნეთა სახელით დეპუტატობის კანდიდატს ამხ. ლავთაძეს მიესალმა იაკინთე ნოზაძე, ახალგაზრდობის სახელით ა. კაპანაძე. სიტყვით გამოვიდა აგრეთვე საოლქო საარჩევნო კომისიის წევრი კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ი. ბულაძე.

შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდა დეპუტატობის კანდიდატი კალენიკე ლავთაძე.

ამავე დღეს დეპუტატობის კანდიდატს ამხ. ლავთაძეს შეხვდა კორბოულისა და მოხვის საარჩევნო უბნების ათასზე მეტი ამომრჩეველი.

თურქების მიერ მიტაცებული ქართველთა მკვიდრი მიწა-წყლის შესახებ

თურქთა მომთაბარე ტომი, ისტორიაში ცნობილი ოსმალო თურქთა სახელწოდებით, აღმოსავლეთიდან მოვიდა და შესცვალა სელჯუკი თურქები, რომელნიც თავის მხრივ პირველად XI საუკუნეში გამოჩნდნენ მცირე აზიაში. ეს ტომი საქართველოში შემოჭრას იწყებს XV საუკუნიდან.

საქართველოს მაშინ კიდევ ვერ მოესწრო წელში გამართულიყო მონღოლების გამანადგურებელ შემოსევათა შემდეგ და დასუსტებული იყო შინაგანი პოლიტიკური არეულობის გამო. ამიტომ ხანგრძლივი და სისხლისმღვრელი ომების შედეგად ოსმალო თურქებმა შესძლეს თავიანთი ჭარბი ძალებით XVI საუკუნის მეორე ნახევარში ხელში ჩაეგდოთ სამხრეთი საქართველო და იქ დაპყრობილი ქვეყნის მმართველობის მკაცრი რეჟიმი დაამყარეს.

საქართველოს ამ ნაწილის ხელში ჩაგდების მომენტიდან თურქები შეუდგნენ ქართველთა მთელი ეროვნული ყოფის მეთოდურად აღმოფხვრას, მოსახლეობის გათურქებისა და ქრისტიანული კულტურის მოწინავე ქვეყანაში ისლამის რელიგიის ძალდატანებით დანერგვის გზით. თურქები ნახევრადველურ მომთაბარეთა მორალით ხელმძღვანელობდნენ და თავიანთ განზრახვათა განსახორციელებლად არავითარ საშუალებას არ ერიდებოდნენ. თუ რამდენად მკაცრი იყო ეს ღონისძიებანი, ამაზე შეგვიძლია წარმოდგენა ვიქონიოთ იმის მიხედვით, რომ საქართველოს დაპყრობილი ოლქების მრავალი მცხოვრებნი, მშობლიურ წრეს მოწყვეტილნი, მასობრივად გარბოდნენ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში, რათა „თავი ეხსნათ თურქების მიერ ფანატიკური დევნისაგან" (დ. ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, გვ. 119) და შეძლებისდაგვარად გადაერჩინათ თავიანთი კულტურის ძეგლები (ხელნაწერები, ხელოვნების საგნები და სხვ.). ცნობილია, მაგალითად, რომ სამცხის ზარზმის მონასტრიდან პატრიოტთა ჯგუფმა თავისი მშობლიური მხარე მიატოვა, თან წაიღო ეროვნული კულტურის ძეგლები და თავშესაფარი ჰპოვა გურიაში, შემოქმედის მონასტერში (დ. ბაქრაძე, იქვე).

ამ მკაცრ პოლიტიკას, რომელსაც ოსმალო ხელისუფალნი მხარის გასათურქებლად და გასამაჰმადიანებლად ახორციელებდნენ, მოწმობენ ის უცილობელი მონაცემებიც, რომლებსაც შეიცავს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოცემული „საქართველოს ვილაიეთის ვრცელი დავთარი". ეს ოფიციალური თურქული დოკუმენტი თურქხელისუფალთა წარმომადგენლების მიერ არის შედგენილი საქართველოს ახლად დაპყრობილი ნაწილისათვის და ამიტომ წარმოადგენს ობიექტურ წყაროს, საიდანაც შეიძლება ამოღებულ იქნას თურქეთის პოლიტიკის დამახასიათებელი მასალები; დასახლებული პუნქტების ჩამოთვლასთან ერთად იგი შეიცავს აგრეთვე იმ სოფლების გრძელ სიებს, რომლებიც შიშით შეპყრობილ ქართველ მოსახლეობას მიუტოვებია. ეჭვს გარეშეა, რომ ეს, „დავთრის" მიხედვით „მოსახლეობისაგან თავისუფალი სოფლები" იმ ქართველ პატრიოტთა საცხოვრებელი ადგილები იყო, რომლებმაც, ამაყობდნენ რა თავიანთი მრავალსაუკუნოვანი კულტურით, ნახევრადველურ მომთაბარეებს თავი აბუჩად არ აიგდებინეს, მიუხედავად უდიდესი მატერიალური და მორალური მსხვერპლისა, თავიანთი მშობლიური ადგილები დასტოვეს და საქართველოს სხვადასხვა რაიონებში გადასახლდნენ. ამ გადასახლების მასშტაბს თუნდაც ის ფაქტი მოწმობს, რომ „მცხოვრებთაგან თავისუფალი სოფლების" რაოდენობა საქართველოს მარტო იმ ნაწილში, რომელიც „დავთარშია" შეტანილი, 300-ს აღწევს!

იმ ძალადობას, რასაც თურქები დაპყრობილ მხარეში სჩადიოდნენ, აღნიშნავს XVIII საუკუნის ცნობილი მეცნიერი ვახუშტი ბაგრატიონიც, როცა იგი ამბობს, რომ დაპყრობილი მხარის წარჩინებულ ქართველთა წოდება თურქულ ენაზე გადავიდა, „დამჭირნეობისათვის ოსმალთა" (იხ. ვახუშტი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა", გვ. 131).

მაგრამ თურქი ხელისუფალნი პირდაპირი რეპრესიების გარდა, რასაც ქართველი მოსახლეობა სასოწარკვეთილებამდე მიჰყავდა, მიმართავდნენ არაპირდაპირი ზემოქმედების ზომებსაც იმისათვის, რომ დაპყრობილი მოსახლეობა იძულებული გეხადათ ხელი აეღო თავის საუკუნეობრივ ეროვნულ ტრადიციებზე. ეს იყო ეკონომიური ზეგავლენა, რაც გამოიხატებოდა აუტანელი გადასახადების შეწერით, რომლებითაც სპეციალურად დაბეგრეს არამუსლიმანი მოსახლეობა. იმავე „დავთარში" არის მასალები, რომლებიც ახასიათებენ ხალხის ჩაგვრის ამ ხერხს. „დავთრის" მიხედვით, მრავალ სხვა გადასახადს გარდა, არამუსლიმანი, ამ შემთხვევაში ქართველი მოსახლეობა იხდის კომლობრივ გადასახადს იგრეთწოდებულ „ისფენჯს" 25 ახჩის ოდენობით, რაც იმ დროის მიხედვით მძიმე ტვირთს წარმოადგენდა განსაკუთრებით იმ მოსახლეობისათვის, რომელიც თავდადებულად იბრძოდა თავისი დამოუკიდებლობის დასაცავად და დაღატაკებული იყო მომთაბარეთა ურდოების ხანგრძლივი თავდასხმებით. ამავე დროს კი, მუსლიმანი გაცილებით ნაკლებს იხდიდა: ეგრეთწოდებულ „ბენაქს" და „მუჯერეთს", 18 ან 12 ახჩს. „დავთარში" 127, 262, 274, 358, 365 და სხვა გვერდებზე მუსლიმანის ყოველ სახელთან არის სპეციალური აღნიშვნა, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ეს პირი მუსლიმანია და ამიტომ შეღავათიან გადასახადს იხდის.

ასევე მკაცრი იყო თურქეთის პოლიტიკა თურქების მიერ დაპყრობილ მეორე სექტორში—ჭანეთში (ლაზთა ქვეყანაში). დამპყრობი თურქების დაჟინებითს მისწრაფებას—ჩაეხშოთ ლაზებში საუკუნეობით განმტკიცებული ეროვნული თვითმყოფობის ყოველგვარი გამოვლინება—ლაზები უპირდაპირებდნენ მტკიცე ეროვნულ თვითშეგნებას და, მიუხედავად სრული იზოლაციისა და მშობლიურ მიწა-წყალს მოწყვეტისა, დღემდე შეინარჩუნეს მშობლიური ლაზური ენა. ლაზებისადმი თურქების მხრივ ზიზღით აღსავსე და ეროვნულად შეურაცხმყოფ დამოკიდებულებას მოწმობს თურქული ანდაზა: „ლაზლარინ თერმონი-მისლიმან იიმეზ ონი", ე. ი. „ლაზური ფელამუში მუსლიმანს არ ეჭმევაო" (ნ. მარი, თურქეთის ლაზისტანში მოგზაურობიდან, გვ. 627).

ვფიქრობ, აქ უადგილო არ იქნება ცოტა რამ ვთქვათ ლაზთა ტერიტორიული გავრცელების შესახებ. ეჭვს გარეშეა, რომ ლაზთა ქართველური ტომის ქვეყანა ვრცელდებოდა შავი ზღვის სანაპიროს გაყოლებით სამსუნის ვილაიეთამდე ჩათვლით. ამის შესახებ ინგლისელი კონსულის ჯიფორდ პალგრევის ანგარიში, რაც მოყვანილია აკადემიკოს ს. ჯანაშიას და აკადემიკოს ნ. ბერძენიშვილის სტატიაში (იხ. გაზეთი „კომუნისტი", 1945 წ. 14 დეკემბერი) სხვა ფაქტითაც დასტურდება. საქმე ის არის, რომ მსოფლიო სპეციალურ ლიტერატურაში შავი ზღვის სანაპიროს ყველა თურქული დიალექტი, მათ შორის სამსუნის ვილაიეთის დიალექტებიც, უსაფუძვლოდ როდია ცნობილი „ლაზურ-თურქულის" სახელწოდებით **(გერმანულად Lazisch—Türkisch, იხ. მაგალითად, პოლონელ პროფესორ ტადეუშ კოვალსკის სამიმოხილვო სტატია Enzuklopädie des Islam-ის IV ტომში,** გვ. 996 და სხვ.). ცხადია, რომ ანატოლიის ამ ნაწილში გაბატონებული ლაზური ენობრივი სუბსტრატი, ფრიად ქმედითი ფაქტორი იყო, რაც სპეციფიკურ ლაზურ ელფერს აძლევდა ლაზთა ამ ტერიტორიაზე ძალდატანებით გავრცელებულ თურქულ ენას.

ეს გარემოება მოწმობს არა მარტო ლაზთა ტერიტორიულ გავრცელებას აღნიშნულ ფარგლებამდე, არამედ ლაზებისა და საერთოდ ქართველთა ტომების კულტურულ უპირატესობასაც დამპყრობ თურქებთან შედარებით.

და მართლაც, ოსმალო თურქები, რომლებიც აღმოსავლეთიდან დასავლეთში შემოიჭრნენ, ოსმალთა სახელმწიფოს ჩამოყალიბების პერიოდისათვის მომთაბარე ტომების ტიპიური წარმომადგენლები იყვნენ. მცირე აზიისა და კავკასიის ცივილიზებულ სახელმწიფოებს რომ შეეჯახნენ, ისინი ცეცხლითა და მახვილით ანადგურებდნენ მაღალი კულტურის მქონე ხალხებს. თურქებმა ჯერ ბიზანტია დაამარცხეს და შემდეგ ხელი მიჰყვეს საქართველოს, ჩამოაშორეს იგი ევროპას და გაბატონდნენ მის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. დაპყრობილ ქართველთა ტომებს თურქებმა შემდგომი განვითარების გზა დაუხშეს და ფეხი მოიკიდეს ანატოლიაში, მაგრამ ამავე დროს არ შეიძლებოდა, რომ მათ არ განეცადათ ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი მატერიალური და სულიერი კულტურის კეთილმყოფელი გავლენა. ამ მდგომარეობის დამახასიათებელ ფაქტებს არაერთხელ მიუპყრიათ ყურადღება სპეციალურ ლიტერატურაში. ცნობილია, მაგალითად, რომ სოფლის მეურნეობის დარგში ქართველებმა, მათ შორის ლაზებმაც, რომლებსაც იმ დროისათვის მაღალი სამიწათმოქმედო კულტურა ჰქონდათ, აღმოსავლეთ ანატოლიაში გაავრცელეს, როგორც გარკვეული სასოფლო-სამეურნეო კულტურები, ისე მიწის დამუშავების გაუმჯობესებული მეთოდები. უეჭველია, რომ ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიის ერთ-ერთი უმთავრესი სასოფლო-სამეურნეო კულტურა—სიმინდი ანატოლიის ამ ნაწილის თურქებმა ლაზებისაგან გადაიღეს. ამაზე მიუთითებს სიმინდის თურქული სახელწოდება — „ლაზოთი, ლაზუთი", რაც ნიშნავს „ლაზურ მცენარეს" (იხ. რედჰაუსი, თურქულ-ინგლისური ლექსიკონი, გვ. 1619. აჰმედ ვეფიკ-ფაშა, ლეხჯე-ი ოსმანი გვ. **748 და შრომა „სიტყვა lazut-ის წარმოშობისათვის"** საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის უწყებებში, ტ. V, № 2 გვ. 227).

აკადემიკოსმა ი. ა. ჯავახიშვილმა „საქართველოს ეკონომიურ ისტორიაში" გამოარკვია, რომ მთელი რიგი გაუმჯობესებული სასოფლო-სამეურნეო იარაღები (გუთანი, ჯილღა) აღმოსავლეთ ანატოლიის თურქებმა ქართველებისაგან გადაიღეს (იხ. დასახელებული შრომა, I, გვ. 248 და სხვ.).

თურქების მიერ უსამართლოდ მიტაცებული სამცხის მხარე საქართველოსათვის იყო არა „განაპირა მხარე, არა პერიფერია, არამედ ცენტრი" ქართული კულტურისა. ამ კულტურის შემოქმედნი, რომელთა სახელებთანაც დაკავშირებულია ხალხური და ფილოსოფიური შემოქმედების შედევრები, სამხრეთ საქართველოდან წარმოსდგებოდნენ. აქვე იქმნებოდა ქართული ეროვნული ხუროთმოძღვრების ცნობილი შესანიშნავი ძეგლები, რომლებიც მოსულ დამპყრობთა მიერ მოსპობის, დანგრევისა და აბუჩად აგდების საგანი გახდნენ. აკადემიკოსი ნ. ი. მარი, რომელიც ამ მხარეებში 1904 წელს მოგზაურობდა, „ყველგან ხედავს მატერიალური კულტურის ქართული ძეგლების „ულმობლად გაძარცულ კედლებს"; ეკლესიები გადაკეთებული იყო მეჩეთებად. „მუეძინის ძახილი ბერთის საყდართან, ამბობს აკადემიკოსი ნ. მარი, ახლა მე იმდენად სევდის მომგვრელი არ მეჩვენება, რამდენადაც დაბისა და ჯმერქის ეკლესიების, სამონასტრო ტაძრების აღლანდელი უბადრუკი მდგომარეობა" („მოგზაურობის დღიური", გვ. 182). ისტორიის უკუღმართობაზე, თურქთა ძალადობაზე აკადემიკოსი ნ. ი. მარი „მოგზაურობის დღიურში" ამბობს: „სევდის მომგვრელი იყო ოდესღაც ცოცხალი ქრისტიანობის ბურჯზე ისლამის გამარჯვებული ხმის მოსმენა... იმათი ღვიძლი შვილები, ვინც ქრისტიანობის ეს ძეგლები ააგო, მიისწრაფოდნენ მაღლა ტაძარში, რათა თავიანთი ლოცვა აღევლინათ ისეთ ფორმებში, რაც უცხოა ბერთის მშენებელთათვის. სევდის მომგვრელი იყო ამის დანახვა, სევდის მომგვრელი იყო ამის მოსმენა" (გვ. 182).

სურათი ნათელია. უაღრესად განვითარებული კულტურისა და აყვავებული ეკონომიური კეთილდღეობის ქვეყანა გაპარტახებულ იქნა და „დღემდე გაყინულია გაველურებაში". ამ ქვეყნის აქეთი სავალალო მდგომარეობა (მისი დაპყრობის შედეგად) მკაფიოდ დაახასიათა მისმა საუკეთესო მცოდნემ აკადემიკოსმა მარმა: „მალე (ქართველებისაგან მოწყვეტის შემდეგ) ამ მხარეში ჩაიფერფლა და ჩაქრა ყოფილი ცხოვრების უკანასკნელი შუქი, და ახალი შუქი აღარ ამობრწყინებულა. მხარის კულტურული ცხოვრება ჩაკვდა. ადამიანი მოკვდა" (ნ. მარი, ბათუმი—არტაანი—ყარსი, გვ. 47).

მაგრამ თურქთა ტყვეობაში მყოფ ქართულ მოსახლეობაში მუდამ იყვნენ პატრიოტთა ცალკეული ჯგუფები, რომელთა გულშიც ღვიოდა ჩაუქრობელი სიყვარული სამშობლოსადმი. ეს პატრიოტები, ამა თუ იმ საშუალებით, თაობიდან თაობას გადასცემდნენ მშობლიურ მეტყველებასა და მშობლიურ დამწერლობას. ერთეული როდი იყო იმის შემთხვევები, რომ ისმებოდა მიტაცებულ ტერიტორიებზე სკოლებში მშობლიური ენის შესწავლის შემოღების საკითხი. მაგრამ ასეთ ცდებს სულთნის მთავრობა ყოველთვის ახშობდა. ცნობილია, თუ რა ბედი ეწია ლაზს ფაიკ-ეფენდის, რომელმაც სცადა „გამოეგონებინა ჭანური (ლაზური) ანბანი: იგი გადაასახლეს და საპყრობილეში ჩასვეს, მისი სახლი გაჩხრიკეს და მთელი მისი ნაშრომები და წიგნები დასწვეს" (ნ. მარი, მოგზაურობიდან, გვ. 626). მშობლიურ ენაზე დაბრუნების ასეთსავე ცდებს ეკუთვნის სტამბოლში ქართული ენის სახელმძღვანელოს გამოცემის ცდა. თურქეთის ქართველთა ჯგუფის ინიციატივით, ჩვენი საუკუნის 20-იან წლებში, ბავშვებისათვის ქართული ენის სასწავლებლად ქართველ კათოლიკეთა კოლონიამ სტამბოლში სახელმძღვანელო გამოსცა. მაგრამ საქმე იმით დამთავრდა, რომ მთავრობამ ძირშივე აღკვეთა ეს ღონისძიება, რომელიც მიმართული იყო ქართული ეროვნული თვითშეგნების გაღვიძებისაკენ.

თურქეთის ქართველთა სიყვარულს სამშობლოსადმი შემდეგი ფაქტიც მოწმობს: სტამბოლში შევხვდი ერთ შუახნის ქართველ მაჰმადიანს, რომელიც ცენტრალურ ანატოლიაში ცხოვრობდა და საქართველოში არასოდეს არ ყოფილა. მას თავისი მამისაგან ესწავლა ქართული კითხვა და მოეხერხებინა რამდენიმე ქართული წიგნის წაკითხვა. მას აინტერესებდა საქართველო და მისი ისტორია და დიდი სურვილი ჰქონდა საქართველოში წამოსულიყო. მე სავსებით დავრწმუნდი მისი სურვილის გულწრფელობაში, როდესაც მან ჯიბიდან ამოიღო ქართული წიგნი, აკაკი წერეთლის „რჩეული ლექსები". რამდენიმე ლექსი მას ზეპირად დაესწავლა.

დღეს, როდესაც დემოკრატიამ უდიდესი გამარჯვება მოიპოვა ფაშიზმზე, რომელიც ხალხთა მონობასა და ჩაგვრას ქადაგებდა, — საქართველოს, ჩვენის აზრით, იმდენად ის კი არ სჭირდება, რომ დაამტკიცოს თავისი შეურყეველი უფლებები სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მშობლიურ, მიტაცებულ მიწა-წყალზე, რამდენადაც ის, რომ მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის წინაშე აღიმაღლოს ხმა თავის სამართლიან პრეტენზიებზე თურქეთის მიმართ.

ამ პრეტენზიათა სამართლიანობა კარგად ცნობილია ობიექტურად მოაზროვნე კულტურული სამყაროსათვის, ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხისათვის და ყველაზე უკეთესად თვით თურქებისათვის, რომლებიც ასე უსახელოდ გამოვიდნენ დემოკრატიული ქვეყნების დიდი ომიდან კულტურისა და ჰუმანიზმის მტრების წინააღმდეგ. საქართველოს მიწა-წყლის დაპყრობა არც იმდენად შორეულ წარსულში მომხდარა. თურქებმა ან მოსპეს ან მშობლიური ადგილებიდან განდევნეს მთელი ხალხები. მაგრამ ქართველმა ხალხმა შესძლო არათუ შეენარჩუნებინა თავისი ფიზიკური არსებობა და სახელმწიფოებრიობა, არამედ კიდეც გაეგრძელებინა მრავალსაუკუნოვანი კულტურით დაგვირგვინებული ტრადიციები თავისი წინაპრებისა, რომლებიც დიდ შემოქმედებითს მუშაობას ეწეოდნენ სწორედ იმ პროვინციებში, ახლა რომ მოწყვეტილნი არიან საქართველოს. საქართველო სისხლხორცეულად დაინტერესებულია ამ პროვინციებას მიღებით და კიდევაც უნდა მიიღოს ისინი.

ს. ჯიქია

ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲡᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲖᲔ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲘ ᲤᲐᲨᲘᲡᲢᲘ ᲓᲐᲛᲞᲧᲠᲝᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲑᲝᲠᲝᲢᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐᲗᲐ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

24 ᲘᲐᲜᲕᲠᲘᲡ ᲓᲘᲚᲘᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ

ᲙᲘᲔᲕᲘ, 24 იანვარი. (საქდესი). დილის სხდომაზე გრძელდებოდა მოწმეთა დაკითხვა. მოწმემ ბრალდებულ ლაიერის საქმის გამო, ტექნიკოს-მშენებელმა **მ. ი. სოკოლოვმა** მოუთხრო სასამართლოს იმ უდიდესი ნგრევის შესახებ, რაც ჰიტლერელებმა ვინიცაში მოახდინეს. გერმანელები ქალაქში თავიანთი თარეშის პირველი დღეებიდანვე გეგმაზომიერად ანგრევდნენ უბნებს.

განსაკუთრებით მძვინვარებდნენ ფაშისტი ცეცხლწამკიდებლები და მკვლელები ქალაქიდან უკანდახევის წინ. მათ დაანგრიეს ვინიცის საუკეთესო რაიონი—სადგური, ლევ ტოლსტოისა და როზა ლუქსემბურგის ქუჩები. მათ გაანადგურეს სამედიცინო ინსტიტუტის უდიდესი შენობა, საოლქო სამომხმარებლო კავშირის სახლი, ყველა სასტუმრო, ტელეგრაფი, კინოთეატრები. ვინიცაში ყოფნის დროს გერმანელებმა დახვრიტეს, ჩამოახრჩეს და აწამეს 30 ათასზე მეტი მშვიდობიანი მცხოვრები.

შემდეგ ჩვენებას აძლევს მოწმე ბრალდებულ იოგშატის საქმის გამო, მასწავლებელი ქალაქ არტემოვსკიდან **ვ. პ. ზამკოვოი-ბატრაკი**.

გერმანელთა მიერ არტემოვსკის ოკუპაციის 22 თვე მთელი საშინელება იყო, — ამბობს ის.—ჩვენ მოწმე ვიყავით 3 ათასი მშვიდობიანი მოქალაქის მხეცური მოსპობისა. მათ შორის იყვნენ რუსები, უკრაინელები, ებრაელები. ეს ადამიანები გერმანელებმა მიერეკეს ალებასტრის კარიერებთან, სადაც მიწისქვეშა გვირაბები იყო. ადამიანთა ნაწილი დახვრიტეს, ხოლო ნაწილი გვირაბებში ჩამარხეს.

პროკურორი: ისინი ცოცხლად ჩამარხეს?

მოწმე: დიახ, ცოცხლად.

მოწმეები **ნ. დ. იაკოვლევი** და **გ. ი. პერელშტეინი** მოუთხრობენ სასამართლოს ქალაქ სარნში გერმანელების მიერ ჩადენილ მხეცობათა შესახებ, სადაც მოსპობილ იქნა 14 ათასზე მეტი მშვიდობიანი მოქალაქე.

შემდეგ სასამართლოს ჩვენებას აძლევს მოწმე—ტ. გ. შევჩენკოს სახელობის კიევის უნივერსიტეტის პროფესორი **ვ. მ. არტობოლევსკი**, რომელიც დაწვრილებით მოუთხრობს სასამართლოს იმის შესახებ, თუ როგორ დასწვეს გერმანელმა დამრბეველებმა ქვეყნის ერთ-ერთი უძველესი სასწავლებელი და სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულება — კიევის უნივერსიტეტი, დაანგრიეს ისტორიული ძეგლები.

დილის სხდომის დასასრულს ჩვენება მისცა კიევო-პეჩერსკის ლავრის ტერიტორიაზე არსებული სამუზეუმო ქალაქის მოსამსახურემ **ვ. მ. ტვერსკოიმ**.

პროკურორი: გვითხარით მოწმევ, რა განძეულობანი იყო ლავრაში?

მოწმე: ლავრაში, ყველაზე ძვირფასი იყო XI საუკუნეში აგებული მიძინების ტაძარი. იქ მრავალი განძეულობა იყო. კიევში შემოსვლის პირველ დღესვე ჩვენ—მოსამსახურეებს ჩამოგვართვეს შენობის ყველა გასაღები. მეორე დღეს ლავრაში დაიწყეს მოსვლა გერმანელმა ოფიცრებმა და ჯარისკაცებმა, რომლებმაც ბარბაროსული წესით იწყეს განძეულობათა მოსპობა და ძარცვა. კერძოდ, მათ ეზოში გამოიტანეს ქანდაკებები, პუშკინისა და შევჩენკოს ბიუსტები, რომლებიც სამიზნოდ გამოიყენეს და რევოლვერის ტყვიით დაცხრილეს. 1941 წლის ოქტომბრიდან გერმანელებმა დაიწყეს ლავრიდან განძეულობათა სისტემატური გაზიდვა. მათ გაზიდეს ლავრის სამოსსაცავი, რუსეთის მთავრებისა და მოსკოვის მეფეების რელიქვიები, — ყველაფერი, ავეჯეულობაც კი. როდესაც ლავრა საბოლოოდ გაძარცვეს, გერმანელებმა ააფეთქეს მიძინების ტაძარი.

ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ ᲑᲔᲚᲝᲠᲣᲡᲘᲘᲡ ᲡᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲘ ᲤᲐᲨᲘᲡᲢᲘ ᲓᲐᲛᲞᲧᲠᲝᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲑᲝᲠᲝᲢᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐᲗᲐ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

24 ᲘᲐᲜᲕᲠᲘᲡ ᲓᲘᲚᲘᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ

ᲛᲘᲜᲡᲙᲘ, 24 იანვარი. (საქდესი). დილის სხდომაზე დაიწყო მოწმეთა დაკითხვა ბრალდებულ **ბურპარდის** საქმის გამო.

ბობრუისკის ოლქის კიროვის რაიონის მცხოვრებმა კოლმეურნემ ე. პ. გაბრუევამ სასამართლოს უამბო ჰიტლერელების მიერ სოფელ კოზულიჩის მშვიდობიანი მოსახლეობის საშინელი ჟლეტის შესახებ. ცეცხლში დაიღუპა მოწმის 70 წლის მამა და 65 წლის დედა, მისი და, აგრეთვე ძმა ცოლიანად, მათი ქალიშვილი და ვაჟი. ნახანძრალში აღმოჩენილ იქნა 318 დამწვარი გვამი.

[illegible]

ოსიპოვიჩის რაიონის სასოფლო-სამეურნეო არტელ „განთიადის" კოლმეურნემ პ. ი. ჩარნიაკმა სასამართლოს უამბო სოფელ ლუჩიცში გერმანელ ბანდიტთა მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებებზე.

შემდეგ სასამართლო იწყებს ბრალდებულ **მოლის**—გერმანიის არმიის მაიორის, ქალაქების ბობრუისკისა და პარიჩის ყოფილი კომენდანტის დაკითხვას; მან გერმანიის საკატორღო სამუშაოებზე გაგზავნა 12 ათასზე მეტი საბჭოთა ადამიანი. იგი მშვიდობიან მოსახლეობას აიძულებდა გზები და მინდვრები განენაღმათ მათი დაფარცხვით, რის შედეგადაც 100 კაცი დაიღუპა. მისი ბრძანებებით აპატიმრებდნენ და ხვრეტდნენ მშვიდობიან საბჭოთა მოქალაქეებს, იტაცებდნენ და სპობდნენ სახალხო ქონებას.

მოლი ცდილობს დაფაროს იმ სისხლისმღვრელი [illegible] ათასზე მეტი განაჩენი, რომელთა შორისაც იყო განაჩენები დახვრეტის შესახებ.

შემდეგ სასამართლო არკვევს გზების გასანაღმავად მოსახლეობის მობილიზაციის გარემოებებს.

თავის დაძვრენის დიდი ცდის შემდეგ მოლი აღიარებს, რომ ფარცხვის დროს ადამიანები ფეთქდებოდნენ, რომ მის მიერ გასანაღმავად გამოყენებული „წესი" ეწინააღმდეგება ყველა საერთაშორისო კანონს და დანაშაულობას წარმოადგენს.

მოლი იძულებულია აგრეთვე აღიაროს, რომ მან გერმანიის საკატორღო სამუშაოებზე ბობრუისკის რაიონიდან გაგზავნა ექვსი ათასი კაცი და პარიჩის რაიონიდან—სამი ათასი კაცი.

პროკურორის პირდაპირ კითხვაზე,—აღასრულებს თუ არა მოლი იმ დანაშაულობათა [illegible] თავზე გამოსცადეს ბანაკის ცხოვრების მთელი საშინელება, რომლებიც გახდნენ ფაშისტური ტერორის მსხვერპლნი.

ამით მთავრდება სასამართლოს დილის სხდომა.

ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ ᲚᲐᲢᲕᲘᲘᲡ, ᲚᲘᲢᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲔᲡᲢᲝᲜᲔᲗᲘᲡ ᲡᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲖᲔ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚ ᲤᲐᲨᲘᲡᲢ ᲓᲐᲛᲞᲧᲠᲝᲑᲗᲐ ᲑᲝᲠᲝᲢᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

ᲠᲘᲒᲐ, 26 იანვარი. (საქდესი). დღეს აქ ოლქის სამხედრო ტრიბუნალში დაიწყო ლატვიის, ლიტვის და ესტონეთის სს რესპუბლიკების ტერიტორიაზე მათი დროებითი ოკუპაციის პერიოდში გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედებათა საქმის მოსმენა.

სასამართლო პასუხისგებაში მიცემულია 8 კაცი: „სს"-ის და პოლიციის ყოფილი უმაღლესი ხელმძღვანელი ბალტიისპირეთის ტერიტორიაზე „სს"-ის ობერგრუპენფიურერი, პოლიციის გენერალი ფრიდრიხ **ეკელნი**; [illegible]

[illegible] ბათა გავრცელებით გაწყვეტას, სამკურნალო დაწესებულებებში მყოფ ავადმყოფთა დახოცვას, სრულიად უდანაშაულო ადამიანების დაპატიმრებასა და წამებას, საბჭოთა სამხედრო ტყვეების მხეცურად ჟლეტას და წამებას და ასობით ათასი საბჭოთა მოქალაქის გერმანიის მონობაში გარეკვას.

ამ მიზნით გერმანიის სამხედრო ხელისუფლებმა და „სს", „სდ", გესტაპოს სადამსჯელო ორგანოებმა, ყველა ჯურის კომენდანტებმა, გებიტსკომისრებმა, პოლიციელებმა და სხვა ორგანოებმა შექმნეს საპყრობილეები, გეს- [illegible]

[illegible] ქალაქები რეზეკნე და ელგავა (მიტავა).

ესტონეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში გერმანელმა დამპყრობლებმა დაანგრიეს 57 ათასზე მეტი შენობა, მათ შორის 870 სამრეწველო შენობა, 43 ელექტროსადგური და ქვესადგური, 20 ათასამდე საცხოვრებელი სახლი, 76 საავადმყოფოს, პოლიკლინიკის და ამბულატორიის შენობა, 400-მდე სკოლის, უმაღლესი სასწავლებლისა და სამეცნიერო დაწესებულების შენობა, 95 თეატრი, კლუბი და წითელი კუთხე, 15 საბავშვო დაწესებულება, 103 ეკლესია და რელიგიური კულტის სხვა [illegible]

[illegible]

ᲛᲗᲐᲕᲐᲠ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲓᲐᲛᲜᲐᲨᲐᲕᲔᲗᲐ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ ᲜᲘᲣᲠᲜᲑᲔᲠᲒᲨᲘ

23 ᲘᲐᲜᲕᲠᲘᲡ ᲡᲐᲚᲐᲛᲝᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ

ᲜᲘᲣᲠᲜᲑᲔᲠᲒᲘ, 23 იანვარი. (საქდესი). ტრიბუნალის 23 იანვრის საღამოს სხდომა დაიწყო ბრალდებულ რიბენტროპის დამცველის—ადვოკატ ფრომშანის გამოსვლით, რომელმაც ტრიბუნალს აცნობა, რომ ბრალდებულ ჰესის დამცველს—ადვოკატ რორშაიდტს უბედური შემთხვევა. მან ფეხი მოიტეხა. ფრომშანმა განაცხადა, რომ ამის გამო ჰესს სურს თვითონ დაიცვას თავი.

ამის შემდეგ ბარინგტონი განაგრძობდა ბრალდებულ პაპენის მიერ ჩადენილ დანაშაულობათა დამამტკიცებელი საბუთების სასამართლოსათვის წარდგენას.

მეორე ბრალდება,—ამბობს ბრალმდებელი,—რომელიც წამოყენებულია პაპენის წინააღმდეგ, არის მისი მონაწილეობა გერმანიისადმი ჰიტლერული კონტროლის განმტკიცებაში. [illegible] რაელთა დევნის სახელმწიფო პოლიტიკის გატარება.

ბარინგტონი ამჟღავნებს ბრალდებულ პაპენის საქმიანობას, რაც ხელს უწყობდა ომისათვის მზადებას, აგრეთვე მის მონაწილეობას აგრესიული ომების პოლიტიკურ დაგეგმვაში, და დაწვრილებით ჩერდება ავსტრიაში პაპენის ელჩად ყოფნაზე.

დასასრულ ინგლისელი ბრალმდებელი კვლავ მოაგონებს ტრიბუნალს იმ ქებას, რასაც ჰიტლერი საჯაროდ უცხადებდა პაპენს ჰიტლერიზმისათვის მისი სამსახურის გამო.

ამის შემდეგ სიტყვა ეძლევა დიდი ბრიტანეთის მხრივ მთავარი ბრალმდებლის მოადგილეს დევიდ მაქსუელ ფაიფს, რომელიც იწყებს ბრალდებულ ფონ ნოირატის მიერ ჩადენილ დანაშაულობათა დახასიათებას. ნოირატი იყო იმპერიის საგარეო საქმეთა მინისტრი, [illegible]

24 ᲘᲐᲜᲕᲠᲘᲡ ᲓᲘᲚᲘᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ

ᲜᲘᲣᲠᲜᲑᲔᲠᲒᲘ, 24 იანვარი. (საქდესი). [illegible]

[illegible] ლისისა და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომში ჩაეთრიათ მათ მიერ დამონებული ქვეყნების ერები, პირველად ვერაგობით, ხოლო შემდეგ ძალადობით გერმანელი ოკუპანტები იწვევდნენ მხოლოდ აღელვებასა და გულისწყრომასო.

ამით მთავრდება ტრიბუნალის დილის სხდომა.

ᲓᲐᲜᲘᲐᲨᲘ ᲐᲨᲙᲐᲠᲐᲓ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲡ ᲤᲐᲨᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ

ᲙᲝᲞᲔᲜᲰᲐᲒᲔᲜᲘ, 28 იანვარი. (საქდესი). დანიის ფაშისტური ორგანიზაცია „6 მაისის საზოგადოება", რომელიც შექმნილია საპყრობილეებიდან განთავისუფლებული დანიელი ფაშისტების მიერ, პოლიციისა და ხელისუფალთა წაყრუებით განაგრძობს თავის საქმიანობას. იგი სცემს გაზეთ „რევიზიონს", მისი წევრები არავენ ნაბეჭდ ფურცლებს გერმანული ფაშისტური შინაარსით.

წინააღმდეგობის მოძრაობის რამდენიმე ყოფილმა მონაწილემ, რომლებიც პოლიციის გულგრილობამ აღაშფოთა, „6 მაისის საზოგადოების" შენობაში ხელთ იგდო ამ ორგანიზაციის არქივები და გადასცა ისინი პოლიციას, რომელმაც გამოძიება დაიწყო. არქივებმა ცხადჰყვეს, რომ „6 მაისის საზოგადოებას", რომელიც ოფიციალურად აერთიანებს მხოლოდ იმ ფაშისტებს, ვინც უკვე გამოშვებულია საპყრობილიდან, ფაქტიურად იმაზე მეტი წევრი ჰყავს, ვიდრე თავის დროზე დაპატიმრებული ფაშისტები იყვნენ. საზოგადოების გაზეთი „რევიზიონი" გამოსვლას განაგრძობს, 21 იანვრის ნომერი მკაცრად ესხმის თავს წინააღმდეგობის მოძრაობას.

ᲛᲦᲔᲕᲐᲠᲔᲑᲐ ᲑᲝᲛᲑᲔᲘᲨᲘ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 26 იანვარი. (საქდესი). ლონდონის რადიო გადმოგვცემს, რომ გუშინ დილაადრიან ბომბეიში კვლავ დაიწყო მღელვარება, რომელიც მთელ დღეს გაგრძელდა. პოლიციამ ხუთჯერ ასტეხა სროლა და გამოიყენა ცრემლსადენი გაზი ხალხის წინააღმდეგ. დაშავდა 8 კაცი. სიკვდილის შემთხვევების ცნობა არ არის გამოქვეყნებული. მას შემდეგ, რაც მღელვარება დაიწყო, სულ დაიღუპა 22 კაცი და დაშავდა 600. პოლიციის კომისარმა გამოაცხადა, რომ იმ რაიონებში, სადაც მღელვარებაა, ხუთი დღის განმავლობაში აკრძალულია ქუჩებში მიმოსვლა საღამოს 9 საათიდან დილის 9 საათამდე, აგრეთვე იარაღის ტარება და 5 კაცზე მეტის თავმოყრა.

ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲘᲜᲓᲝᲜᲔᲖᲘᲐᲨᲘ

ᲰᲐᲐᲒᲐ, 26 იანვარი. (საქდესი). ჰოლანდიის სააგენტო ანპ გადმოგვცემს, რომ სემარანგის ახლოს ინგლისელთა ჯარებსა და ინდონეზიელთა რაზმებს შორის ბრძოლაა. მძიმე ბრძოლაა აგრეთვე სურაბაიის სამხრეთით, სადაც იყენებენ ტანკებსა და არტილერიას. ზოგიერთი ცნობის მიხედვით ბრძოლა არა სწყდება აგრეთვე კუნძულ სუმატრაზე. 24 იანვარს სააგენტომ აინგაპურიდან ცნობა გადასცა, რომ ინდონეზიის სხვადასხვა კუნძულებიდან სულ უფრო და უფრო მეტი ახალგაზრდობა ჩადის სუმატრაზე და შედის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ინდონეზიელთა რაზმებში.

ᲨᲐᲰᲛᲐ ᲙᲐᲕᲐᲛ-ᲔᲡ-ᲡᲐᲚᲢᲐᲜᲔᲡ ᲛᲘᲐᲜᲓᲝ ᲙᲐᲑᲘᲜᲔᲢᲘᲡ ᲨᲔᲓᲒᲔᲜᲐ

ᲗᲔᲘᲠᲐᲜᲘ, 27 იანვარი. (საქდესი). 27 იანვარს ირანის შაჰმა [illegible] და მიანდო მას ახალი მთავრობის შედგენა.

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 27 იანვარი. (საქდესი). ფრანს პრესის სააგენტო გადმოგვცემს, რომ დღეს ოტელ „მატინიონში" ფელიქს გუენის თავმჯდომარეობით შესდგა ახალი მინისტრთა საბჭოს პირველი სხდომა. დროებითი მთავრობის მეთაურმა მადლობა გადაუხადა მინისტრებს იმისათვის, რომ ისინი გამოეხმაურნენ მის მოწოდებას ახლანდელ მძიმე გარემოებაში საფრანგეთის მთავრობის შექმნის შესახებ. გუენმა ჩამოაყალიბა თავისი მოსაზრებანი მთავრობის დეკლარაციის შესახებ, რომელიც წარედგინება ეროვნულ დამფუძნებელ კრებას. ამ საკითხზე აზრთა ფართო გაცვლა-გამოცვლა მოხდა. მინისტრთა საბჭომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მომარაგებისა და ფინანსების საკითხებს, აგრეთვე საერთაშორისო პრობლემებს.

ᲘᲜᲓᲝᲔᲚᲗᲐ ᲛᲘᲢᲘᲜᲒᲘ ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲨᲘ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 28 იანვარი. (საქდესი). ლონდონის რადიო გადმოგვცემს, რომ გუშინ ლონდონში ტრაფალგარის მოედანზე შედგა ინდოელთა და მათ თანამგრძნობ პირთა დემონსტრაცია და მიტინგი ინდოეთის დამოუკიდებლობის დღის გამო. მიტინგზე გამოიტანეს ორი რეზოლუცია, რომელთაგან ერთი მოითხოვს ინდონეზიიდან ინგლისისა და ინდოეთის მთელი ჯარების ევაკუაციას, ხოლო მეორე რეზოლუცია ინგლისის მთავრობას მოუწოდებს სრული ეროვნული დამოუკიდებლობა მიანიჭოს ინდოეთს. შემდეგ დემონსტრანტები გაემართნენ საგარეო საქმეთა სამინისტროსა და ინდოეთის საქმეთა სამინისტროსაკენ და იქ გადასცეს თავიანთი რეზოლუციები.

ᲤᲐᲨᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲐᲚᲔᲒᲐᲚᲣᲠᲘ ᲐᲥᲢᲘᲕᲝᲑᲐ ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲨᲘ

ᲠᲝᲛᲘ, 25 იანვარი. (საქდესი). ანსას სააგენტო იუწყება, რომ გენუის მახლობლად მაღლობზე, რომელიც დასცქერის ბდეილობრავ საპყრობილეს, აღმოაჩინეს ტყვიამფრქვევისა და ნაღმსატყორცნის პოზიციები, რომლებიც, როგორც ჩანს, მოწყობილი იყო იმ ვარაუდით, რომ პატიმრების ამბოხება მოხდებოდა და საპყრობილეში მყოფ ფაშისტებს გაათავისუფლებდნენ. ცეცხლითი პოზიციების მახლობლად იპოვეს აგრეთვე სამხარი მასალის დიდი საწყობი.

ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗ-ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲘᲡ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐ, 28 იანვარი. (საქდესი). გაზეთმა „რეჩ პოსპოლიტამ" და სხვა ცენტრალურმა გაზეთებმა დღეს გამოაქვეყნეს კომუნიკე ჩეხოსლოვაკიის მთავრობასთან მოლაპარაკების საწარმოებლად მინისტრთა საბჭოს მიერ დელეგაციის დანიშვნის შესახებ. მოლაპარაკება შეეხება პოლონეთ-ჩეხოსლოვაკიის ურთიერთობის მთელ საკითხებს.

პოლონელი ჟურნალისტებისათვის მოწყობილ პრეს-კონფერენციაზე პრემიერ - მინისტრმა ოსუბკა-მორავსკიმ ცნობა გამოაქვეყნა მინისტრთა საბჭოს ამ გადაწყვეტილების შესახებ და განაცხადა, რომ დაიწყო პოლონეთ-ჩეხოსლოვაკიის ურთიერთობის ახალი ფაზა.

ᲓᲘᲡᲞᲣᲢᲘ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ

სამშაბათს, 29 იანვარს, საღამოს 8 საათზე მწერალთა კლუბში (მაჩაბლის ქ. № 13), გაიმართება დისპუტი თემაზე: „1945 წელი ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში". მოხსენებას წაიკითხავს ბესო ჟღენტი. კამათში მონაწილეობას მიიღებენ: ლ. ქიაჩელი, შ. რადიანი, დ. შენგელაია, ს. ეული, გ. ნატროშვილი, გ. ჯიბლაძე, დ. ბენაშვილი, ვ. წულუკიძე, ს. ჩილაია, ე. ასტვაცატუროვი, ა. ლომიძე, ს. წერეთელი, გ. გაჩეჩილაძე, ს. თავაძე.

ᲙᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲞᲐᲠᲢᲙᲐᲑᲘᲜᲔᲢᲨᲘ

29 იანვარს, საღამოს 7 საათზე, კომკავშირული პოლიტწრეების პროპაგანდისტებისათვის შესდგება დოცენტ **ნეიმანის** კონსულტაცია ქართულ ენაზე. თემა: „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულება".

29 იანვარს, საღამოს 8 საათზე, შესდგება დოცენტ **ხუციშვილის** ლექცია რუსულ ენაზე. თემა: „კიევის სახელმწიფოს შექმნა".

ბილეთების შეძენა შეიძლება საქალაქო პარტკაბინეტის სამკითხველოში დილის 9 საათიდან საღამოს 8 საათამდე.

29 იანვარს, საღამოს 8 საათზე, შესდგება დოცენტ **ქადეიშვილის** კონსულტაცია სსრ კავშირის ხალხთა ისტორიაში.

პასუხისმგებელი რედაქტორი
გ. ნანიტაშვილი

ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲨᲘ

რუსთაველის სახელობის — 29/I — „ლალატი", 30/I — „ტარიელის ქვეყ". **მარჯანიშვილის სახელობის** — 29/I — „შესაფერი ჯილდო", 30/I — „მარგარიტა გოტიე". **გრიბოედოვის სახელობის** — 29, 30/I — „თვითმფრინავი დღე-ღამეს იგვიანებს". **მუსიკალური კომედიის** — 29/I—„ცუგრუმელა", 30/I—„როზ-მარი".

ᲙᲘᲜᲝᲔᲑᲨᲘ

29 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲡ: **რუსთაველის სახელობის** — „სილვა". **ოქტომბერი** — „ზღვის ბატალიონი". **დამკვრელი** — „ტუუპი". **კომკავშირელი** — „მოთხრობა ჩვენი ბავშვების შესახებ". **სპარტაკი**—„ტუუპი".

მოქალაქე **ლევან ეფრემის-ძე ანტონიანმა**, მცხოვრებმა პრესის ქ. № 23, აღძრა საქმე თავის მეუღლე მოქალაქე **ტაკუშ სიმონის-ასულ ანტონიანთან** განქორწინების შესახებ. საქმე განხილულ იქნება თბილისის კიროვის რაიონის I უბნის სახალხო სასამართლოში.

მოქალაქე **ვალენტინ ნიკოლოზის-ძე კაზლოვსკიმ**, მცხოვრებმა გოგოლის ქ. № 4, აღძრა საქმე თავის მეუღლე მოქალაქე **ტასია ეფიმის-ასულ კაზლოვსკაიასთან** განქორწინების შესახებ. საქმე განხილული იქნება მოლოტოვის რაიონის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოში.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 91.800 უე 00014